

ლიტერატურული განეთი

№13 (341) 7 - 20 ივნისი 2023

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი

ლელა სამნიაშვილი

თოვა

ის კოცნასავით დნება ლოყაზე,
ნაკვალევსაც კი არ გიტოვებს მისი ნაჭდევი,
თუმცა სახურავს ჩამოზნიქავს სიმძიმისაგან.

თუ ენის წვეტზე დაგეცემა, გემო არა აქვს
და მაინც მისი კარამელით ივსება ხორხი,
ზაფხულში არცერთ სანაყინეს რომ არ უნახავს.

თვალისხამზი თუ გახშირდა, თუ ჩამობარდნა,
იქნება ტკბილი დასასრულიც წარმოიდგინო,
მაგრამ არ არის დასასრული — არასდროს — ტკბილი —

მარილი ხდება სანუკვარი, მანქანები გზას მიიკვლევენ
ნამქერში, მათი ფარებიდან უმნეოდ უონავს
შუქი, რომელიც მზერას კიდევ უფრო ამოკლებს.

ძველ გზას იკვალავს მთის ფერდობზეც უმანკო მკვლელი —
ისევ მუშაობს უზუსტესად სამყაროს ხრახნი —
ფიფქებმა ბასრი კბილანებით ააწყვეს ზვავი.

IV

პატა ნაცვლიშვილი

ქორქეტა

დოკუმენტური რომანის ჩანაფიქრი
ხუთ წიგნად

თუ ვინმეზე ითქმის, გამორჩეული ევროპელი
ქალი იყო, სწორედ ის იყო ასეთი. ქართველი
მამისა და ამერიკელი დედის უმცროსი ქალიშვი-
ლის სახელი და ცხოვრება, მწერლის გამოგონილს
რომ ჰგავს, დიდხანს იღუმალების ბურუსით იყო
მოცული.

1903 წლის 8 იანვარს დაიბადა შორაპნის მაზრის
სოფელ ყვირილაში, 1981 წელს გარდაიცვალა თა-
ვის მამულში შოტლანდიაში და იქვეა დაკრძალუ-
ლი. 18 წლისა იყო, როცა ემიგრაციაში აღმოჩნდა.
ერთხანს კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა და
სწავლობდა. პარიზში დაინერა ჯვარი გიორგი ნი-
კოლაძეზე. მასთან ერთად ველოსიპედით მოიარა
ევროპა, მონაწილეობდა ალპინისტურ ექსპედი-
ციებში, იყო „შევარდენის“ წევრი, ბავშვობიდან
კარგად იჯდა ცხენზე, კარგად ატარებდა მანქანას.
სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი მშვენივრად
წერდა ქართულად, ინგლისურად, ფრანგულად თუ
რუსულად. პირადად იცნობდა კიბლინგსა და
ჯონისს, ესპანეთისა თუ რუმინეთის მეფეებს.

გაიცანით:

დიდი დეკანზის შვილიშვილი, ნიკონიკოლაძის
რძალი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი პრო-
ფესორების შვილი და ცოლი — უორუეტა ლამბა-
შიძე.

ნინი ელიაშვილი

* * *

მორჩა შეიცვალა გეგმა
ზღვების დიდი ქალაქების
თვითონ დიდმა ქალაქებმაც
დიდი ახსნა-განმარტებით

მიუარეს ახლა ნაყოფს
შეციცინებ კენწეროზე
მინდა ყველგან დაგინახო
და ბოლო წუთს გენეოდე

ახლა მინდა სახლში ვიჯდე
შორს კი ციმციმებდეს რიო
ალარასდროს არ გავგიჯდე
ალარასდროს ავურიო

ბოლო სიტყვა მერგებოდეს
როგორც ბოლო ჭიქა ლვინო
მისთვის რომ ვერ გემეგობრე
ახლა გული არ მატკინო

VIII-IX

VI-VII



ლიტერატურის მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, თითქოს უილიამ ფოლკნერს რომანის „სული რომ ამომდიოდა“, პერსონაჟი, ედი ბანდერენი, მთა ზრებული ჰყავდა ქალქრისტედ. რამდენად ძევეფერება ეს თვალსა ზრისი სინამდვილეს? ან რამ განაპირობა მისი ნარმოშობა? ამ კითხვებს რომ ვუპასუხოთ, უნდა გავიხსენოთ რომანი და მისი პერსონაჟი, რადგან ხანდახან მწერალს ისეთ რამეს მიანერენ, რაც აზრად არას-დროს მოსვლია.

თემურ გაბუნია

ფოლკლორის ერთი პერსონაჟის გესახებ

ରୋମାନୀ-ମଦ୍ସତ୍ତ୍ଵକୀୟ

ლიტერატორების უილიამ ფოლენერის
1930 წელს შექმნილ ნანარმოებს „სული
რომ ამომდიოდა“ ერთ-ერთ მნიშვნელო-
ვნად მიიჩნევენ მნერლის შემოქმედებაში.
ის ხშირად ხვდებოდა სხვადასხვა გამოკ-
ითხვებისა და კვლევების ნუსხებში XX
საუკუნისა თუ კველა დროის 100 საუკეთე-
სო წიგნს შერის. თავისი მნიშვნელობით
რომანი არაფრით ჩამოუვარდება სხვა თხ-
ზულებებს: „ხმაური და მძინივარება“, „აბე-
სალომ, აბესალომ!“ და „აგვისტოს ნათე-
ლი“, მეტიც, უფრო იღუმალებით მოცუ-
ლიცაა. მასში არის რაღაც ამოუცნობი,
რითაც კუნტ ჰამსუნის „მისტერიებსაც“ შე-
იძლება შეგვადაროთ.


„ფრიად იდუმალი ამბები მოხდა წარსულ ზაფხულს ნორვეგიის პატარა ზღვისპირა ქალაქში“ — ასე იწყება „მისტერიები“ და მალე ჩევნოთვის ნათელი ხდება, რომ სიტყვა იდუმალი მნერალს შემთხვევით არ უსხესებია. რომანის მთავარი გმირი ნილსენ ნაგელი თავდაპირველად ყურადღების ცენტრშია, ის უკიმაგება ნახშირის გადამზიდავ მაიცას, რომელსაც რწმუნებული აპამულებს. ნაგელი ლირსეულია, მაიცა კი — უმწეო. თუმცა ბოლოს ყველაფერი ტრიალდება. ნაგელი, რომელსაც გემიდან თვითმკვლელობის მიზნით გადამხტარი კაცის გადარჩენისთვის მედალი აქვს მიღებული, თავადვე იხრჩოს თავს. „უმწეო“ მაიცა კი ძალით ეუფლება ქალს, ვისი ცოლად მოყვანაც ნაგელმა ვერ შეძლო. მნერალს თითქოს ჩაიფირებული აქვს პირველი უკანასკნელად აქციოს, უკანასკნელი კი — პირველად. რომანის კითხვისას მკითხველს უამრავი რამ აოცებს: ვიოლინოს ფუტბლარი, რომელშიც ვიოლინო არ დევს; ნაგელის ნიჭი, გამოიცნოს, თურა დაწესებულება იყო ქალაქის ერთ-ერთ შენობაში დიდი ხნის წინ ან რა ერქვა მაიცას ბაგშვიობაში და სხვა...“

მსგავსი უცნაურობებითაა სავსე ფოლკერის რომანიც „სული რომ ამომდიოდა“. 1957 წლის 15 აპრილს ვირჯინიის კოლეჯში მნერლისთვის შემთხვევით არ დაუსამთ ასეთი შეკითხვა:

„ମ୍ରତୁଲଙ୍କନ୍ତେର, ତକ୍ଷେଣୀ ଶ୍ରୀଗନ୍ଧେଶ୍ବିଦାନ ପ୍ରେଲାଟ୍ ଥିଲାଟ୍ ଯେ ମେତ୍ରାଦ ମାତ୍ରାରୀଙ୍କେବୁ — କି ଏହି ମାତ୍ରାରୀଙ୍କେବୁ, ମାତ୍ରାରୀଙ୍କେବୁ — ଶ୍ରୀଲିଙ୍ଗ ରାମ ଅମନିଧିଦିନରେତ୍ତାରେ... ମୁଖୋନୀ, ରାମାନନ୍ଦୀ ପ୍ରାମର୍ତ୍ତି ତେରିବାନାଶୁରୀ — ଏହି ଶ୍ରୀରାମାନନ୍ଦୀଙ୍କେବୁ ଏହାମରାନୀଙ୍କେ ପ୍ରାମର୍ତ୍ତି ନାନୀଲିଙ୍ଗ ଗାମର୍ବାତ୍ରାଗୁରୁ, ମାରତଳା ଆସେବା?“ ଆଶ୍ଵାରା ଉତ୍ସବାତ୍ମନୀ ନୁହୁଣ୍ଡା ପ୍ରାମର୍ତ୍ତିରେ ମିଳେଇର ଫଳମହୂଳି ଶ୍ରୀଗୋଟିବୁରୀ ମେରାର୍ଥ ନାନୀଲିଙ୍ଗୀ, ରାଘଗାନ ରାମାନନ୍ଦୀର ତ୍ରୈତମ୍ଭେତ୍ରି ମତବରନ୍ଦ୍ରେଲାଇ, ଶ୍ରୀରାମାନନ୍ଦୀ କି ଗାତ୍ରିଲୁହେବିତ ମେତ୍ରି. ମାତ୍ର, ରାତ୍ରିମ ଏହି ଆୟୋଜନ ମନ୍ତ୍ରାଲ୍ମା ଆବାଲ୍ଗାଥରିଦା, ରାମ ମିଳି ନାନାରମିତ୍ରବୀ ଦେଇବର ମନ୍ତ୍ରମେତ୍ରି ପିଠିର ପିଠି? ଫ୍ରାନ୍ତିକନ୍ତୁ ସିତ୍ପୁର୍ବା ଶ୍ରୀକଞ୍ଚ୍ଚେତ୍ରିନ୍ଦ୍ରୀ ଏହି ଉତ୍ସବାଲୋଦ ଶ୍ରେଷ୍ଠିତ୍ବବିହାରୀ...“ — ବାରାନ୍ଦୁଦିନରେ ମତାର୍ଗମେଲୀ କ୍ଷାଲଦାତ୍ରିବନ୍ଦନ ମେଦ୍ରେ ଥାବାଲିଶ୍ଵାଲୀ. ଶେଶାଳିଲୋ, ଆସେଇ ପୁଣୀ, ତୁମପା ନେବୁ ଗାମନ୍ତରିକ୍ଷବାତ କେବା ବେରିବାନୀରେ ପାତ୍ର. ଏହିବେଳେ ମନ୍ତ୍ରାଲ୍ମା ଶ୍ରେଷ୍ଠିଲୁହାଦ ଲାଇଦ ଫାତିମା ସାକ୍ଷିତ୍ବୀ, ରାତା ତାବ୍ରିତୀ ରାମାନନ୍ଦୀମିଳିତ୍ରେରୀ ଦେଇଲାମନ୍ତ୍ର ଅମୁଜ୍ଜବନ୍ଦୀ ଦାରକ୍ଷେତ୍ର ମିଳି ନାଶୁଶ୍ବରଃ:

„არა, ისნი იყვნენ... მე კვლავ ხალხზე ვწერდი. თავს ვუყრი ხალხს და... ეს უბრალო Tour de force-ია... დავხატე ოჯახი და ორი დიდი კატასტროფა დაგატეხე თავსა, რაც ადამიანს გადასხდენია, წყალდიდობა თა დაუხმო. აი, სულ ესაა...“

“ როგორც ვხედავთ, ფოლონერი არ ასრულებს თავისი პერსონალურების შესახებ გამოთქმულ ფრაზას, „არა, ისინი იყვნენ...“ ამბობს და მერე სხვა თემაზე გადადის. ვინ იყვნენ ისინი ან რამდენი იყვნენ, გაუგე-



අදාශකාස, මගරාම මප මානුෂ දෙපය මත්ත්වූ
උල්පාස ඇත්තා, ආරා මාරුත්ම පිරිරාදාය, ආරාමේද,
රෝගාරු සෑයුත්මාරුසාය, රෝගාලියු හිටුවාව
ලුණාස අඛුදෙන් තැවම්පුරිල සාන්තොගාදාගැඹා
හි “ (ඉනුත් කේමිල්චිඩ් — මිට්සිලිටිල්ඩ්) ”

ეს... (კუტურული ინსტრუმენტი — „ბიბლიოფილი“).
ენუტ ჰამსუნისა არ იყოს, ფოლკნერისა
რომანში მისტერიის მეცამეტე წევრად
ქცეული ედიც ერთ-ერთი ცენტრალური
ფიგურაა. სწორედ მისკენა მიპყრობილი
ყველას ყურადღება, მაგრამ რატომ იმეორებს ფოლკნერი სამჯერ, კუბოში უკუღმა
ჩახანვინესო? ან რატომაა ვარდამანის დაჭრილი თევზი თვალამოგდებული, ედი ბანდრენი კი — თვალებდათხრილი? რად
ჩახატა მწერალმა კუბოს სურათი, რომელსაც კედლის საათის ფორმა აქვს? განა სიტყვის ისეთ დიდოსტატაცს, როგორიც ფოლკნერია, კუბოს აღნერა გაუზირდებოდა? სომ არ გვაქვს საქმე რაღაც უცნაურ მისტერიასთან? მაში, რატომ ჰეგინი პატარა ვარდამანს, რომ დედამისი მკვდრეობით აღდგება?

დიახ, როდესაც ოჯახის ნევრები და
სტუმრები თევზს ჭამენ, სულ თორმეტი
ადამიანი, უნგბურად გახსენდება საიდ-
უმლო სერობა, როდესაც იქსო ნაკურთხ-
პურს უნანილებს მოციქულებს და ეუბნე-
ბა: „მიიღეთ, ჭამეთ. ეს არის ჩემი ხორცი“.
ვარდამანი ამბობს, „ხვალ შეწვავენ და ის
გადაიქცევა ვარდამანად, მამად, კეშად და
დიუი დელად, მაშინ კუბოში აღარაფერი
იქნება და ის სუნთქვას შეძლებს“ (მედეა
ზაალიშვილი, ბოლოსიტყვაობა). ამრიგად,
პატარა ვარდამანს ჰერნია, რომ დედამი-
სი სუნთქვას დაინყებს და კუბოში ალა-
რავინ იქნება. ანუ მას სჯერა, რომ ედი მკვ-
დრეთით აღდგება. მაგრამ, ვინ არის კუ-
ბოში უკულმა ჩანვენილი ედი ბანდრენი და
რისი სიმბოლოა ის? მისდამი მიძღვნილი
თავი, „ედი“, ასე იწყება: „ნაშუადღევს, რო-
გა აგავითობი თამაზრობა და ბოლო

Հա զայտուղարու դաստացանձա գա օլոռա
Չեզորմոշեցազ ճիֆկու նազուգա, մին մա-
ցովրագ, րոր նու նազըլուցապազո, նյարութէ
հազեղո, սագաւ Շեմբելու մշցուգագ զպոցո-
լուցազո գա պայլու մժշւլցծոնցա. Ամրոցագ
յեցու արացոյր այշե սարոր յրուսիւցիոնչուլ
սովցարուլուն և սատնուցիանուն. Պարոյէ-
ու, յուսոցարուլոնիու ույ ույու ցածորութէ-
ծուլո, րոր ամիյէցպանագ մոշլոնցիուտուու-
լամու սակայտարո մամաց զո մոշուլցծոնցա.
Եղեցագորագ մշշամունիուսա ու եցլասպարու-
շեմթեցեցա լունցա, զոնմեց ռամց ճաւթաց-
ծինա, րոր յրոր կարցագ ցայիշցելու. մուս
նազուլունիու ճասչա սայունցիանաւ զո անո-
չէցծագ ճա նինիունմոցեծու ույուրոնցա: „Արա,
ածլա եօմ ցականուրտ? արց ածլա ցար տի-
ցեն յըօնուսիւրու կեռուրէու սայուլուն-
տա մոնչուրէ?! Ի՞մո սուսելու ույցեն սուսելուն
ածլա մանուն եօմ Շեզուրոյ-մետյո!“ ուույուս-
ամ մոնունցացու գուլունցրու միցանունեցիս,
րոր նուարէա արա մեռլուն եօրուու, արա-
մեց սուսելուուա գ եցենա. յո ոնցլուսիւր-
ու գուստիու ույցրու կարցագ հանս — „who have
marked your blood with my own for ever and
ever“. յեցու րագումլաւ գունուա, րոր տացուու-
սուսելու մուսնազլուցիուսամու սամարացամու-
(for ever and ever) Շեյրուա. սունամցուուլուշի մա-
րացուու յըցեգիու մեռլուն յրուսիւցի սուսե-

ლთან და ხორციან ზიარებას აქვს. საგულისხმოა, რომ ქართულ თარგმანში ეს ეპიზოდი გაგებულია ისე, თითქოს ედი არა მოსწავლებს, არამედ საკუთარ შეიღებს წევლიდეს. რა თქმა უნდა, ფოლენერის თხრობის არაქრონოლოგიურობიდან გამომდინარე, ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება, მით უმეტეს, რომ ცოტა მოგვიანებით ნათელი ხდება, ედი არც შვილებს ზოგავს, მათაც ცხვირმოუხოვავებს უწოდებს და წევლის. ზოგადად ფოლენერს საყვედურობდნენ ხოლმე, რომ ის გრამატიკული ნორმების დაცვის თვალსაზრისით პირველკურსელის დონესაც კი არ ავაყვიფილებდა. ამ ეპიზოდში მას გამოყენებული აქვს ნაცვალსახელი them, შაგრამ მის წინ არ დგას არსებით სახელი, ამიტომ ცოტა გაუგებარია, ვის გულისხმობს მწერალი — სკოლის მოსწავლეებს თუ საკუთარ შვილებს. რადგანაც მთარგმნელმა, ქალბატონმა მედეა ზაალიშვილმა, მიჩნია, რომ ედი საკუთარ შვილებს წევლიდა, მან ნაცვალსახელი them თარგმა „გოგო და ბიჭებად“. ედის ხომ ერთი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი ჰყავს. შემდეგ ქართულ ტექსტში ჩნდება სიტყვა „თითქოს“: „თითქოს სხვადასხვა სისხლისანი ყოფილიყვნენ და მეც სხვა სისხლისა ვყოფილიყვავო.“ ორიგინალში არსადაა სიტყვა „თითქოს“ (as if), მათ, ვისაც ედი სცემს, არც ედისთან და არც ერთმანეთთან არანაირი სისხლით ნათესაობა არ აკავშირებთ: „and blood strange to each other and strange to mine“. ამრიგად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პირველ შემთხვევაში ედი საკუთარ შვილებს კი არ წევლის, არამედ სკოლის მოსწავლეებს... (იხ. — Teaching Faulkner — published by the center for Faulkner's studies Southeast Missouri State University — Cash Bundren's Tool Box in Faulkner's As I Lay Dying — by Barbara Ann Cass).

აი, რა ძნელად გასაგები და უცნაურია ეგრეთ წოდებულ სისხლის შერევასთან ანუ „ილუზორულ ზიარებასთან“ დაკავშირებული ეპზოდი. უჩემულოა თვით რომბიც, რომელიც ვირჯინიის კოლეჯის სტუდენტისა არ იყოს, „გვაფორმაქებს, კი არ გვაფორმაქებს, გვაცვიფრებს“. დიახ, უპირველეს ყოვლისა, წიგნი გვაცვიფრებს რელიგიური თემების შეტრიალებით. რომანის მთავარი პერსონაჟი ედი, კუბოში უკუღმარომ ჩაუწენიათ, მისტერიის მეცნამეტე წევრია, ოღონდ არა ქრისტიანულის, არამედ — ანტიქრისტიანულის. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს სიტყვა „უკუღმა“. ის სიძულვილის სიმბოლოა და არა — სიყვარულის. „პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი“, ასე ინყება ოთანეს სახარება, ედისთვის კი სიტყვა ანუ ლოგოსი არარაობაა. „მიგვცდი, რომ სიტყვას ფასი არა ჰქონია. სიტყვებს არავითარი კავშირი არა აქვთ იმასთან, რასაც ისინი გამოხატვენ“. მას არც დედობაზე აქვს მაღალი აზრი, პირიქით, მიაჩნია, რომ სწორედ შვილებმა შეუზღუდეს პირადი თავისუფლება. ედისთვის უცხოა სინაულიც, რადგან მისთვის ცოდვაც ცარიელი სიტყვაა. სრუ-


ლიად საპირისპირო თვისებების მატარებელია ამავე რომანის პერსონაჟი კორატალი. „თუ ქვეყნად საერთოდ არსებობს ვინგე — კაცი იქნება თუ ქალი, რომელსაც უფალი ისე მოაქცევს, რომ მერე საითაც არ უნდა გაუშვას, ველარავინ აცდუნებს, — ეს კორაა“. სწორედ კორა ტალი ამხელს ედი ბანდრენს ურნმუნობებაში. ედი მუდამ არასწორად იაზრებდა ქრისტიანულ შეგონებებს, „ცხოვრების აზრი სიკვდილისთვის მზადებაა“ მან უკულმა გაიგოდა, რაც მთავარია, ასევე უკულმავე აღასრულა. ედი და კორა რაღაცით ითანებს გამოცხადებაში აღნერილ ქალებსაც კი ჰგავანან, ედი — დიდ მეძავს, კორა კი იმ დედაქაცას, ბიბლიური ვეშაპი რომ ებრძის და ვერაფერს აკლებს. ედი ბანდრენი აპოკალიფსური დიდი მეძავის მსგავსად უნდა მოიძულონ, „და ხორცი მისნი შეჭამონდა... დაწუან ცეცხლითა“. უკანასკენელ უამს ქვეყნიერების მაცდუნებელ ბაბილონს უზარმაზარი ლოდივით წყალში, ხოლო იმ თავლას, სადაც ის ასვენია, დარღვე ცეცხლს უკიდებს. ედისაც მოიძულებენ. მას თითქოს საკუთარი შვილებიც კი დასცინიან. კეში ჯერ კიდევ სულთონბრძას უმზადებს კუბოს, თანაც ზუსტად იმ ფანჯრის წინ, სადაც ედი წევს. დარღვი, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარს დედა, სამგლოვარო პროცესის დროს იცინის, ჯული სამდოლარიან საქმეზე წასვლას ამჯობინებს მომაკვდავ დედასთან ყოფნას. დიუი დელი ზუსტად დედის დაკრძალვის დღეს მრუშობს, ენსი კი კბილების პროთეზს იკეთებს და ახალი ცოლი მოჰყავს. და ბოლოს, პატარა ვარდამანი გარდაცვლილ დედას შემთხვევით ბურლით თვალებს თხრის. რა არის ეს? შავი იუმორი, როგორც ლიტერატურებს მიაჩინათ, თუ რაღაც სხვა, აქამდე უცნობი მხატვრული ხერხი. ალბათ, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს ვიქებით, თუკი ვიტვით, რომ ეს მისტიკაა. „ედი ბანდრენს“ ჭამენ საიდუმლო სერობასთან მიმსგავსებულ ეპიზოდში. მისი გვამი ჯერ წყალში ვარდება, შემდეგ კი ინვის. მას მოძულებენ იჯახახს წევრებიც და უცხოებიც, რადგან ჯეფერსონში ჩასვლისას ის უკვეყარს. ედი მაცთუნებელი სულია, რადგან მან აცთუნა ადგილობრივი მოძვარი — უიტფილდი. აი, ის ნიშნები, რითაც ედი აპოკალიფსის დიდი მეძავის სიმბოლოდ შეეძლება მივიჩიოთ. ედი იყო გაბოროტებული ადამიანი, რომლის ცხოვრების არსიც შერისძიებაა. ის თითქოს სიკვდილის წინაცადებით იყო დამუხტეული. „პირობა მომეცი, როცა მოვკვდები, ჯეფერსონში წამასვენე“ — სთხოვს ის ენსის. ედიმ კარგად იცის, ხელმოკლე იჯახისთვის რა რთულიც იქნება ამის გაკეთება, მაგრამ მანც დაუშინა, თხოვნა შეუსრულონ. ესაა შურისძიება, თუმცა ისეთი, რომლის არსაცაც ენსი ვერასდროს ჩასწვდება. და აი, მალე გარდაცვლილის ჯეფერსონში გადასვენება და დიდ გამოცდად იქცევა ბანდრენების ოჯახისთვის. მდინარის გადაღავისას კეში (უფროსი ვაჟი) ფეხს იტეხს; დარღვი, რომელსაც აღარ შეეძლო ფეხმოტებილი მმის ტანკვისა და მიხრნილი გვამის სუნის ატანა, თავლას ცეცხლს უკიდებს, რის შემდეგაც მას ჯეკესონის საგიურთში ამზესებენ. ჯეფერსონში ჩასულები ყველა შემხვედრში ზიზღს იწვევენ. მიცვალებულის სუნის გამო მათ ახლოს არავინ უჩერდება. ნუთუ ამისთვის ემზადებოდა ედი? ეს იყო მისი ცხოვრების აზრი? მაგრამ იქნება „ისინი ყველანი...“, როგორც ფოლკნერი იტყოდა და აღარ დაასრულებდა, ედი-ევა ბანდრენის მიერ ჩადენილ პირველცოდვის გამო ისჯებოდნენ?

კანდილენების ღვაცი

გავლება საკუთარი რომანების პერსონალის და ბიბლიურ ან მითოლოგიურ გმირებს შორის. ეს პარალელები, მართალია ძირითადად ძალიან სიმბოლური იყო, მაგრამ ისინი მაინც არსებობდნენ. მაგალითად, რომანში „აბესალომ, აბესალომ!“ ვხედავთ გარკვეულ მსგავსებას ბიბლიურ დავითისა და თომას სატპენის შვილებს შორის. ჰენრი, თომასის ვაჟი, რაღაც ბიბლიურ აბესალომს ჰქავს, რომელიც თავისი ნახევარმას, ბორის კლავს, საკუთარი დის ჯუდითის, სისხლის აღრევის ცოდვისგან დასახსნელად. რომანის „სოფელი“ ჰერსონის იულას მკვლევრები მითიურ სემირა მიდას ადარებენ, ხოლო ქრისტმასი („აგ კისტოს ნათელი“), 33 წლის ასაკში რომ ინყებს თავის ეგრეთ წოდებულ მოღვაწეობას, შეიძლება პატარა ანტიქუსტედაც კი შევრაცხოთ.... დიახ, ფოლკნერს სჩევოდა ბიბლიური და მითოლოგიური პარალელური ბის გავლება. გვაქვს თუ არა მსგავს მოვლენასთან საქმე რომანში „სული რომ ამომდიოდა?“

როგორც ნანარმოების ერთ-ერთი თავის, „ედის“ კითხვისას აღმოვაჩენთ, ჯული, ბანდრენების მესამე ვაჟი, ცოდვით დაცემის ნაყოფია. დარღი, რომელიც ბევრი დაფარული მოვლენის არსს სწვდება სშირად ეკითხება თავის უფროს ძმას: „ვინ არის მამაშენი, ჯული?“ როგორც ირკვევა ამ ცოდვის შეილის მამა ადგილობრივი მოძღვარი უიტფილდია. ამრიგად, ჯული ღვთისმსახურის უკანონო შვილია. ის ერთ-თავად ცხენზე ზის, რის გამოც კენტავრს ადარებენ. ჯული ქედმაღალია, ძმებისგახმით ფიზიკური ძალითაც გამოიჩინება და გამარტინითაც, დედას კი გამორჩეულად უყვარს, რის გამოც მეზობელი კორა საყვებო დურობს კიდევ, შენი ვაჟი ღმერთზე მეტად გიყვარს. ედი ამას არც უარყოფს: „ჯულია ჩემი ჯვარიცა და სხნაც. ისლა მიხსნის მე წყლისგან და ცეცხლისგან“. ამ რიგად, აქ საუბარია რაღაც კერპთაყვანის მიმცემლობასთან მიმსგავსებულ სიყვარულზე. ედის გულში ღვთის ადგილი ერთ მოკვდავ ეგოსისტ ბიჭს დაუკავებია. მართლაც რომ დროული იქნება დაგსავათ ასეთი კითხვები: რომელ მოდგმაში გავრცელდა თავდაპირველად კერპთაყვანის მცემლობა? ვინ იყვნენ კენტავრები? როგორ სხსნიდნენ კაენის დაბადებისას ადამის ნათქვამ სიტყვებს: „კაცი შემეძინა უფლის-გან“ ბიბლიის არატრადიციული კომენტატორები და ვის მოიხსენებდნენ ქედმაღალებად და ამპარტავნებად წმინდა წერილსა თუ ნარმართულ მითებში?

„დაბადებაში“ ვკითხულობთ: „შეიცნო ადამმა ევა, დედაკაცი. დაორსულდა ევა და შვა კაენი და თქვა: კაცი შემეძინა უფლისგან“. ადამმა ევა მხოლოდ ცოდვით დაცემის შემდეგ შეიცნო. ბიბლიის არატრადიციული კომენტატორების აზრით კაენი ადამისა და ევას შვილი კი არ იყო არამედ დაცემული ნათლის ანგელოზისა და ევასი. თურმე სწორედ ამაზე უნდა მეტ ტყველებდეს სიტყვები — „კაცი შემეძინა უფლისგან“ (მტაინერის ვერსიით ელოიმისგან), ისანი ამტკიცებენ, რომ ვითომდაც ნათლის ანგელოზი, რომელიც ადამიანის შექმნაში იღებდა მონაწილეობას, ცდუნდა პირველი ქალის, ევას, სილამაზით და მიუდგა მას. ბიბლიის ამგვარი ინტერპრეტაცია რაღაც წარმართულ მითსაც კი მოგვაგონებს პიგმალიონის შესახებ, რომ მელსაც საკუთარი ქმნილება შეუყვარდა წმინდა მამები ბიბლიის ამგვარ განმარტებას სასტიკად ენინაალმდეგებიან. მათი აზ



„დიახ, დიახ, დიახ, დიახ“. („სული რო
ამომდიოდა“).

აი, რომანი-მისტერიის გასაღები. დარღვეული ხედება, რომ ჯუჟელი უკანონო შეიღია ამიტომ იცინის... მაგრამ რატომ დააკავები შირა ფოლეკნერმა ხუთცენტიანზე გამოსახული სიმბოლოები სისხლის აღრევას თან? ის, ვინც იცნობს როზენკრანიცერების ფუძე-ლეგენდას, სადაც მოთხოვილია როგორ აცთუნა ევას სილამაზე დაცემული ნათლის ანგელოზი, მონეტის სიმბოლიკასა და ამ ლეგენდას შორის კავშირს უთუოდ აღმოაჩენს. როგორც ჩანს მწერალს სურდა სუსტი ნებისყოფილობის სმსახურ უიტფილდსა და დაცემულ ანგელოზს ანუ ბიბლიურ მხეცს შორის რაღაც მსგავსება ეპოვა, ედი კი ევასთა გაერიგივებინა. საგულისხმოა, რომ მითიურ სისხლის აღრევაზე შექმნილ ფილმებში სატანისტი პერსონაჟი ხან ტახად გაარდა ისახება ხოლმე, ხან კი — მღლადა... ერთ ფილმში — „მხეცი“, ჩვენს კინოთეატრებში XX საუკუნის 90-იან წლებში რო





ლელა სამნიაშვილი

ხასიათება

მხოლოდ ერთი დღის ამბავია მთელი ცხოვრება, მხოლოდ დილიდან დაღამებამდე ხდება — რაც ხდება. ყველა სხვა დღეში სხვა იძვიძებს — დაცხრილული მეხსიერებით, რომლიდნაც უკვე გაჟონა წინა დღეების შუქმაც და ბინდმაც, გავლილია წინა სიკედილი და ახალი დაბადებაც — გადატანილი და სულ ამაოდ ვზელთ და ვძერნავთ, ვცდილობთ, წყალი არ გაატაროს, არც ძვრფასი სახები და სახელები, არც ძველი გზები, მისამართები. ის მხოლოდ ამ დღის გრაფიკებით ამოვსებულა და მხოლოდ ამ დღის საათია, რომლის ისრებიც თავის გზაზე მიგერერება. და რა ალარ გამოვიგონეთ, რომ გავნებლოთ, გავაფართოვოთ ეს მყიფე და ვიწრო ნაჭუჭი, რომ წინაპრების აკლდამად იქცეს და მომავლის ხომალდებადაც. ჩვენი ლურსმნულით, ჩვენი მხედრულით, მხატვრობით და ფოტოგრაფიით, ამიგავსეთ მისი ყველა კუთხე-კუთხული და მტკვრსაც ვწმენდთ ისტერიულად და ერთმანეთს ვუტოვებთ სიტყვებს — სასიყვარულო ბარათებად, ისტორიის სქელ ტომებად, გზამკელევებად — წარსულისაკენ, რომ არაფერი არ დაგვაფინუდეს და გვახსოვდეს ზუსტად ისე, როგორც თვითონ ვასურებდით, როდესაც ვწერდით.

და იზრდება ლაპირინთი და მოკლდება მზერა — მზის ბირთვს რომ მივაწვდინოთ.

თავს ვინ დადებს, რომ ზუსტად ახსოვს გუშინდელი წყურვილი ან შიმშილი, თუეკი უკე მოიკლა და დღევანდელმა წყურვილმა და შიმშილმაც უკვე გამოაღვიძია.

არც ისეთი ხანგრძლივია მეხსიერება, ისინი ვყიყოთ, თავს რომ ვასაღებთ.

პოვერისი, ადრიანა რიჩი, დედაჩემი

როცა ფსკერისკენ ჩაიშალა ყველა ხომალდი და ჩაიშალება ყველა გმირის გულის ფიცარი და სხვა გემბი დამწყემა ქარმა ზღვებში, რომელშიც დელი წყლების წვეთიც არ დარჩა და არც ფარფლი დელი თევზების, ისევ მღეროდა ბრმა მოხუცი თავის ყმანვილურ სიმღერას მასზე, რაც აღარ იყო და ნიუარებს თეთრ ყურებში საგულდაგულოდ აგუბებდა გმირების ამბავს და ფურცლებზე დაცურავდნენ ხომალდები სიტყვების ქარით გზადალონცვილი და ოდისეას იზეპრედა მისივე ხმით მეოცნებე ყველა ჭაბუკი.

როცა დარბაზში ლექსს კითხულობდა ქალი, რომელმაც პოეზიად აქცია ყველა ტეკილი, ვნება, შევგარებული, გაისმოდა მისი ხმა ტებილი და გულუხვი — მატრიარქის კენკრით სავსე კალთასავით ტომის ფეხროთით იქცრტყებოდა.

სტუდენტების გრძელი მწერივი გადამლილი წიგნებით ხელში მიიჩნევდა მისი დამჭერარი ხელებისკენ და ხედავდნენ ზედ გადაწერილ ავტოგრაფებს დღეების, წლების და უკვირდათ, როგორ შერჩა ხმა — ასეთი წკრიალა, სალი.

როცა დედაჩემს ვურეკავდი ქალაქების გადასწრივ, სადღაც, წლების მიღმა და ახლაც ისევ — მისი ხმა ისმის ბავშვობიდან და ვერ ვხედავ მის ვერცერთ ნაოჭს და ვერც ჩემსას და მთელი ჩემი დრო იკრიბება ნაცნობ ტემბრში, ნაცნობ ბგერაში და ნამით მჯერა — ერთად არის ყველა დრო და ყველა ადგილი და სიმართლეც გამოერევა ამდენ ყალბში, გამოგონილში;

სიმართლეა — ხმა ძევლდება ყველაზე გვიან.

ლია

წაიღეს ტვინი მილიარდებმა — ვინ სად ჩაჩურთოს მილიარდები, ვიდრე დღეები გვინიავდება, კილომეტრები და იარდები იტკეპნება და ვერსაით მიდის და შერჩენა საცობს იოლად გაბრიყებული — ვერსალის გიდის მონაყოლებით — კაცობრიობა — გადაჭიმული — თავზე — ჭალებით — რომ არ თავდება ელვარე ბროლი და პორტრეტებში გადასახლებით დღემდე არავინ იღლება. მგონი ედემის კარიც ფრიალებს ლია და ვისაც უნდა — შევა, გამოვა, რადგანაც ბოლოს დარაჯებს ლიან მიგრანტები. და შესაღამოვდა — ისევ არსაით. მინად კი არა, ვარსკვლავების მტკრად იქცევა ყველა. და სხაც ეს არის — რადგან ლია შენდობის კარი და ყველა შევა.

კუცეული

ჩვენ ეს სამყარო არ გაგვიყვანს სამშვიდობოსკენ. სამშვიდობოზე არაფერი არც კი სმენია. და უდარდელი ნაპირისკენ საშვი რომც გვქონდეს, უდარდელობის ნაპირებზე რა დაგვრჩენია.

იქ ალბათ არის საზარელი, ტკბილი სიჩუმე,

არარსებობას გალავანად რომ მიუჩენინ,

მიიღებს მხოლოდ ჩაძირულ ნავს, დაშლილ კიდობანს,

რადგან არყოფნის კუნძულია, სამშვიდობია.

ნახე, ვარსკვლავი მოწყდა დამეს. იქნება — პლანეტა —

წყლითა და მინით მოზელილი, მზით გამომცხვარი,

ჩვენ კი ჩავუთევით სურვილები ისევ ღამიდან —

მევდარ ვარსკვლავებსაც —

ჩვენს სურვილებს ვკიდებთ ცოცხლები.

ჩვენ ეს სამყარო არ გაგვიყვანს სამშვიდობოსკენ,

არ დაგვახვედრებს მყუდრო ვიღებს, პალმებს, აუზებს,

უდარდელობის ნაპირისკენ საშვი რომც გვქონდეს,

წყურვილისაგან გამლაშდება ყველა საუზმე.

თავისუფლება

წყალსა და მინას ცის თავშალი უფრიალებთ, ზღვის საზღვრები არასოდეს ნებდებიან ერთ ზოლს, ტყეები მინისქვეშეთშიც ტყეებს შლიან ფესვის ტოტებით — თავისუფლება სამყაროში ყველაფერზე ბუნებრივია, ადამიანი კი იშენებს სახლსა და ჯებირს, ვიდრე იქცევა ეს შენება

კლაუსტროფობიურ სივიწროვედ, ჩაუანგებულ სისტემის ჩარხად.

და აი, მაშინ იქცევიან ქუჩები მდინარეებად —

წვეთ-წვეთობით გროვდება წყალი —

სალის პატარა ნაკადები — სათითაო ადამიანად,

წყვილებად — თითებგადაჯაჭვულად,

მამის კისერზე წამოსკუპებულ ბავშვებად

დროშებს ჯადოსნური ჯოხებივთ რომ იქცევენ

(თითქოს უჩინარ ბზარებს კურნავს მათი შეხება),

იკრიბებიან ერთად და ქუჩას უჩინდება ტალღა,

მანქანების გრუბუნს რომ არ გაეს

არც ხავისფერი უნიფორმების სამხედრო აღლუმს

(სინქრონულად რომ ყვინთავენ ბრძანებები).

ის მკვრივია და მტკრევადი და ფერადი.

ის ღელავს, ღელავს.

მე შენ ისინი — იკრიბება ერთ სიმღერად

თუ გინდა, ერად, თუ ქვეყნად, თუნდ სული დაარქვი.

არცერთ სასახლე,

ციხესიმაგრეს არ აქვს კარი და გალავანი

ისე მაღალი, არ წალეკოს ამ მდინარემ.

სჯობს გზა არავინ გადაუკეტოს.

ეს ნაკადია, რაც უცვლის კალაპოტს

და დროდადრო უცვლის კალაპოტს

ქალაქებს, ქვეყნებს, ისტორიას,

თვითონ დროის არქაულ წარლენას,

ყველაფერი თან რომ მიაქვს,

რაც გზაზე ხედება —

მუშტი, დროშები, ყვავილები, სხეულები, თავისი თავი,

რომ არასდროს იქცეს მორევად,

რომ ყველობის გამოვლისაც აკავების.

და ჩვენ კი — ყველა —

პირით — ზამთრისკენ.

ეს ზამთარი — გვერდს რომ ვერ ვუვლით —

დეკემბერასთვის ზაფხულია — პარალელური.

ნეტა ჩვენც ვიყოთ მოელგარე დეკემბერები —

უსისხლდენებოდ ისხნებოდებს ფურცლის ვენები.

მაგრამ რომ ვერ ვართ,

ნაცრისფერში რას არ აცურევთ —

მინით, პლასტმასით ვრთავთ და ვარქმევთ დღესასწაულებს —

გრძელ ღამეებში,

კალენდრებზე დათვლი



დაქვეითებული სიყვარულის პირველი სიმპტომი სკოლაშივე აღმომაჩნდა. მაშინვე ვერაფრით ავყევი თანატოლებს. ვერც მათ სიცოლს, ვერც სითბოს, ვერც ბუნებრიობას (ძალიან უხერხულად კი ვცდლობდი).

მახსოვს, ერთხელ, რა გამალებით მიცემდა გული, მანამ ჩემი ჯერი დადგებოდა. როგორ ვემზადებოდი ყველასთვის იოლი სიტყვის წარმოსათქმელად.

— „დედიკო“, კრებას ვერ დაესწრება —

ვთქვი და ამოვაყოლე მთელი ჩემი თავგანწირვა. ვთქვი და ატეხეს ბავშვებმა ხარხარი. ყინულივით მხვდებოდა თითოეულის ხმა, ყურებში, თვალებში, ტვინში და რაბან ფანჯრიდან გადახტომისაც შემრცხვა, მაშინვე გადავაკეთე სიტყვა „დედად“.

ეს იყო დაქვეითებული სიყვარულის პირველი გამოვლინება.

რაღაც სჭირდა მას ისეთი, არაორგანულის და შეუთავსებლის მსგავსი, ვერაფრით რომ ვერ შეერია ჩემს მეტყველებას და აგებულებას.

* თან ვიზრდებოდი და

თან იძულებით ვსწავლობდი სიყვარულს. თავზე კი როზგით მადგა ნერვული მასწავლებელი, რომლის ერთადერთ შებებას ჩემი შეცდომები და უუნარობა წარმოადგენდა.

ისიც ხშირად იცინოდა, ნელ-ნელა დავკარგე

რამის გადაეთების სურვილი.

და სულ უფრო მეტად და მეტად ვიწეოდი ფანჯრისკენ.

*

როცა აღარც არაფერი გვაშორებდა მე და ფანჯარას, უცხო ჩიტებივით

მოფრინდნენ სიტყვები და მოძრაობები.

ცეკვით აიკლეს მთელი ჩემი აგებულება. ააწიოკეს.

ხეს დავემსგავსე თოვლით დაფარულს,

კარალიოკებს რომ ანათებს ღამით.

*

პირველად შევხაროდი ჩემს მსხმოიარებას და

ეს სიხარული იყო სიტყვა „დედიკო“, სიტყვა „მიყვარს“.

ეს სიხარული იყო, ბოლო ჩამოწყვეტილ ნაყოფამდე, უკანასკნელამდე, როგორც სიკედილის წინა „მოხედება“.

* * *

იმ ქალალდად
თუ გიგრძვნია თავი,
საბეჭდ მანქანაში
რომ ჩადეს,

კარგად რომ გაასწორეს,
მოარგეს
და შეუდგნენ კაკუნს...
მოზომილი მანძილით,

კიდიდან კიდემდე,
ზევიდან ქვემოთ,
განევით და გამოწევით.
რწყევა თუ გიგრძვნია
შეხებით?

ყურებში, ტვინში...
ასოების, სიტყვების ხმისგან?
მინერილი მინებებული
განაჩენისგან

თუ გიგრძვნია დანებება?

* * *

დღეს ჩემი მღვდელი აღავლენს წირვას.
ის ხელებს იბანს

„ქერუბიმთა“-ს გალობის ხმაში.
მე ხატებს ვგავარ,
ცრემლი მომდის შაბიამნისა
და იყურნება ჩემი ტანი
ცივი შენამვლით.

დღეს ჩემი მღვდელი აღავლენს წირვას.
სეფისკვერს ნაშნავს

ყველაზე საღს და ჩვილივით ჯანმრთელს.
ნავზე თხელიც ვუნახივარ
(ახლა რ მიშვას),
ნაავზე ახლოს ვუნახივარ
ღმერთკაცის ჯვარცმებს.

ახლა რა მინდა?

ჩემი ყვავი უკვე ხეზეა.

ხე ხელებს იბანს
და გალობა ისმის კაკლების.
ლაქებად მრჩება
ლურჯი ცრემლი
შაბიამნისა
და თითქოს რამე მაინც მქონდეს,
ისე მაკლებენ.

* * *

ცინკით მოჭედილ კუბოს გავდა
ზამთრის ის ღამე,
როცა სახეზეც არ გადამხადე.

მინის კაცივით მედექი თავზე
სამუშაო იარაღებით.
მათი ელვარე ბასრი ენები
ლოკავდნენ ჩემი ყინულის მუცელს.

გარეთ კი, ზამთარს ცინკში ეძინა.
წვალობდა ჩიტი ხუფის საფართან.
თავის ხაზივით მსუბუქი ფრთებით
თავის ხაზივით სუნთქვას ღაფავდა.

გალადა ხორბალზე
სვანეთის უბანი.
ნამდვილი ამბავი, 1989 წელი

1.
როცა ხსოვნაში მიიღევა ახალბედა დაცემა, დამბლა...
(ახალი მუდამ დამყოლია),
მიწისძვრასავით ირყევიან ძველი ქანები
და ორი თავი ორი მთასავით
ერთიმეორეს ეხეთქება და იქვე მყლაპავს.

დაბლა სულ ბნელა. უფრო სწორად, უნდა ბნელოდეს,
მაგრამ ისეთი სინათლეა, რომ არ ანათებს.
უბრალოდ, გაძლევს საშუალებას,
რაც ისედაც ჩანს, ვერსად გაექცე.

2.
რკინიგზის ეზოს,
რკინიგზის სახლის რკინიგზის ბავშვი,
დიდი პირით და დიდი თვალებით ველოდები,
რკინიან მუცლებს როდის დახსნიან დიდი კაცები,
რომ ვაგონების ჭერამდე
ხორბლით გავიღოს რკინის სიცარიელე.

ჩემი მუცელი, როგორც სხვების, ცარიელია
და დევებივით ვადგავართ ყანებს,
დედამინის ყველა ყანას, ჩვენი სახლის წინ
ლინდაგზე, რელსზე ამოსულს.
ცხრა თავის გარდა გვინდა, გვქონდეს ხელიც ამდენი,
ტანიც ამდენი, რომ მოვასწროთ ბევრის შეტანა.

3.
სახლი, რომელიც ააშენეს ხელით ტყვეებმა
და ცარიელი იძულება ჩააბეტონეს.
ახლა სითბოა, შპალის სუნი, უკვე ხორბლითაც
საესეა ყველა ქაბი, თასი, ყველა ბილონი
და რაღა დაგვრჩა, შეგვიძლია, შენც კი გინამოთ,
იმაზე უკეთ, ვიდრე გვნამდი, ვიდრე გვშველოდი.

4.
პურებს კი არა, პურის ყანებს ვაცხობდით, ვჭამდით.
ძლომის სილადემ დაივანა, თთქოს ჩვენც დაგვხსნეს.
ვაგონებივით. ჩამოვცალეთ ჯავრის მაზუთი
და არც ვერჩრიდით შემორტყებს და თაგვებს,
გასვებულს ჭერში, საწლებზე, შპალებზე, თეფში...
(შპალები პირები ტყვეებივით) ჩვენ კი დავსუქდით.

ისა დავსუქდით, რომ მსუქანი ვარ იმის შერე.
ამ ხორბლის მარცვლებს გაეზარდათ

კუდიც, კბილებიც.
ნლების ღერგაში გამომდებენ ხან პირში კლანჭებს,
მარადიული ზიზლით ვუცდი, ვებლაუჭები
ცა ყველა გახსნას — საკეისროს სქელი მუცლისას,
რომ ამომაჭრან, ამომაძრონ, ამომაცალონ
ის ზიზლის გემო საბოლოო გამოფულვრისა,
იმ ზიზლის მუცლეს, საბოლოოდ რომ არ გადაყვევ.

5.
ჩემთან ვინც მოდის,
ისე ვეხებავ, თითქოს ჰაერში
ჩიტების გუნდი გამოებათ ბამბის მარხილში.
თითქოს მოჰკონდეთ სიმღერები შაქრის, ვანილის...
ის ჩემი კერა მინისძვრების, შავი ქარიშხლით
მათოვის იმდენჯერ ჩავიგუბე, ვჩქმალე, ვანელე...
ჩემთან ვინც მოდის,
არცერთია ჩემთან მოსული.

6.
ვუზივარ ახლაც
ბედისწერის რკინის ვაგონებს,
ვშიშობ, ჩიტები,
გამობმული გუნდებად მარხილს —
გამოვიგონე.



ჩან. შენ. სხვისი.

არის დიდი მდინარე ეს მდინარე ისეთი ბნელია და ცივი შეიგ ჩამსვლელი ვინ არი ან ჩვენ შორის ვინ არი უფრო დავარცხნილი უფრო სიმპატიური უფრო თეთრი პერანგით და ძვირფასი თვლებით მივალთ ვეძებთ ვერ ვაგნებთ ვივინებთ და ვთვრებით

დაღვრემილი მიჩვენებ შენსას. ჩემსას. სხვისას. და საღამო მთავრდება და შინისკენ ირივე ფრთებს რომ გამოვისხამთ გზაში ფეიერვერკის მჭახე ხმები ისმის სახლში სხედან ყველანი ჩემიც. შენიც. სხვისიც.

დავემსგავსეთ უფროსებს —
სადაც ვსურვართ იქ ვართ
გავცემს ბოლო კურცხალი
როგორც ბოლო ჭიქა

ბევრჯერ უნდა შევხედოთ ალბათ ნაცნობ ქვაფენილს რომ მივაგნოთ სასწრაფოდ სასახლეს და ქოხსაც როგორ დაგვავინუდება გერიოსს და აფერისტს წიგნი დამარცხებამდე კონკურსიდან მოგხსნათ

რამდენადაც საგსეა
ისე ცარიელია ბოთლიცა და ჯიბეც ვდგავარ ტროტუაზე და წარმოვიდებ ჩემ თავზე ჩამოვარდნილ შიფერს

არარსებულ ძახილზეც ვიხედები ხშირად არარსებულ მეგობარს უნაყოფო ტონით მოვუკითხავ ლიმილით მშობელსაც და შილსაც მერე არარსებული ბილიკებით ვტოვებ

გზა სულ ერთნაირია და
ორივე თვალებში დაგროვებულ დრუბლებს ნაცნობ სადარბაზოსთან ნაცნობ ძაღლებს ვჩუქნით ჩასავარდნად არ გვყოფნის აღარცერთი გუბე ჩასაქრობად არ გვყოფნის აღარცერთი შუქი

ხელში გაუხარელი და გამხმარი მცენარით ერთ დღეს ალბათ ორივეს მშვიდად გამოვისერის (ასეთია სცენარი) ჩემიც. შენიც. სხვისიც.

ხომ გახსოვს როგორ დავიღალე სახლის მიგნებით სახლს თავის თავი გამუდმებით სხვაგან მიყავდა უთხარი როცა გათოვდება აღარ ვიქნები როგორ მიყვარდა

როგორ ვებრძოდი ყოველ ღამე ჩრდილებს შემზარავს სინამდვილეში რომ ღალატიც ისე არ მწყნდა უთხარი თითქმის ყველაფერი რაც დამეზარა როგორ გაბრწყნდა

რომ მოელი ჩემი სიმღერები მხოლოდ ლოცვაა უკან ყურების უნაყოფო ჟინი ასევე უთხარი რომ ჩემს გამარჯებებას და ხელმოცარვას არაფერი არ განასხვავებს

როგორ მახრჩინდა რჩევების თუ შველის სიფიცხე როდესაც ერთი სიხარული უკვე არ მყავდა ვინც აღარ მახსოვს ვინც შევძლი გადავივინებ როგორ აყავდა

საგზლად მიმქონდა ორი დარდი უშველებელი და ბრმები ახლა ვერცხლის წვიმის სახეს უშვერენ რასაც მარტივად ვალვივებდი სულის შებერვით ვეღარ ვუშველე

რომ უსახელო ქვა იდგება და ქვაზე მძიმე აღარაფერი არ იქნება ჩემთვის იმ ღამით რომ ახლა მძინავს უგრძელესი სიზმრებით მძინავს და რომ აქამდეც არსად ვიყავი

არ უთხრა იმ თეთრ იცნებებზე იმ თეთრ ნატგრებზე ის მხოლოდ ჩემი ამბავია ჩემი ბზარია რომ ღრმდაც სურდათ შეტყუება წყალში ქალთევზებს მე არ შემეძლო უფრო ღრმად და უფრო ძალიან

არც ის ვიცოდი ვინ ვიყავი ვის მივასავლე გზა იქით სადაც სიცოცხლეა მაგრამ უსახო რომ ახლა მევდარსაც მხოლოდ ერთი დარდი მანვალებს რომ მოვიდეს და მე კი მკვდარმა ვერ დავუძახო

მე ვცხოვრობ ძლვენებით და ლურჯა ცხენებით ეს ციებცხელებაც სულ მალე ჩაცხრება მე ვზიგარ ჩემი და თუ გინდა ნუ მიტან ხომ იცი თუ მნიდა აღდგომად ვაჩვენებ მწარე დანარცხებას

მე აღარც ვფრთხილობდი და ბოლო ხილვამდე თავი რომ მივადე იმ დილით მოავირს ვერ მიხვდი რა მჭირდა ან ასე ღრმა ჭიდან ცა რად ამომაჭრეს

რა იყო ქვების და ლოდების მეტი ან სიგიჟე ჩემ შიგნით რად არ დაეტია

მე რატომ მელოდა ამდენი დაცემა რატომ ვერ შევძლი ან თავის დაცვენა

მექრიდა მექსოვა მეყიდა მეშოვა რომ დამენებოდა სულ იქით ლეში ვარ რომ თურმე ტკივილი თვით სიმაღლეშია და მუდამ გნათლავენ გიუჯად და შემლილად

მე ვცხოვრობ ძლვენებით მე ძლვენებს მიძღვნიან თითქმის სულ იგივე წყეული რიცხვია ჩვენ კი ერთნაირი დღეების მძევლები

რა მოხდა მქონდა ფერადი სასახლე ფერადი კაბებით მორთული კარადა მე მოელი ცხოვრება დავექებ გასაღებს და ვიცი და ვიცი სად არი არადა

ნახვედი ყველა პასუხის ნაცვლად ნასვლა არჩიე სწორედ ამიტომ ვფიქრობ ახლა რომ არცერთმა კაცმა უსაძირკველოდ და უკრამიტოდ

არ უნდა ზილოს თავის იცნება ორმოში მყოფმაც უნდა აშენოს და იმ ორმოდან რომ ამოძვრება თავისი თავიც გადაარჩინოს

და ისიც ვისაც მერე გაუყოფს რაც ნახების მისმა ძვლებბა თვალებმა მაგრამ ამ მზიან დღეებს რა ვუყო რა პოეზია რის უკვდავება

ახლაც არ ვიცი რომელი ქარი ნამიღებს ან კი ამ ერთი დღიდან რა დავიტოვო როდესაც გარეთ ვერაფერს ვერ ვგრძნობ რომ რამედ ღირდეს

შენ ცნობდი ჩემს გულს თითქოსდა ცნობდი თითქოს მეც მალე დავიჯერებდი რომ ჩემს ლვთაებრივ და წმინდა ცოდვებს ცამდე კი არა ლამის ჭრამდეც

ვეღარ მისდიოდ და გაჩნდა შიში რომ შენც რომ სხვაც და რომ ყოველივე კი არ მჭირდება მხოლოდ ხელს მიშლის რომ დავიჯერო ისევ ჩემივე

გამოგონილი ღმერთის და შენც გთხოვ სხვასაც გთხოვ ვინც კი ვნახე მეგობრად არასდროს მითხრა რაც უნდა გეთქვა თუკი რაიმე გაუგებრობამ

ვერ გათქმევინა მის დროზე ახლა ნურაფერს შეტყვით ყველა სიტყვას აქვს თავისი დრო და ადგილი ნახავ თუკი ბოლომდე მოვავს მისაყვანს

რაიმე საქმე ფუჭად გაგაცდენს სხვა დროში ადგილს ვერ მოუქებნი ხომ არის ზოგი ლოთი ძმაკაცი შენ რომ გიყვარს და სხვები უძლებენ

ასეა გულიც უძლებ და სხვები თითქოს ცდილობენ და იყარებენ ვოცნებობ თოვლზე და მახსოვს ქვებიც ვფიქრობ მერცხლებზე მახსოვს ყვავებიც

თუმც ვიცი ბოლო ნაბიჯის რისკიც სასწორზე მაინც დავდებდი ყოველს მე ისევ ის ვარ ვინც არაფრისკენ არ მოდიოდა უბრალოდ მოველ

ის ბავშვი წვიმებს ანახებდა ბრჭყვიალა წვიმებს და მე ვინექი ბალახებთან საშინალად მძიმე

საშინალად მძიმე ტკივილებით გეფიცები და ბალისც კი ვეღარაფერს მიუუჩებდა მეჩვენებოდა მოკლულები ღფიცრები მეღიძებოდა იქროსთმინ ბიჭუნებთან

და გამვლელები რაღაცებს მასწავლიდნენ ვერ დაიტია ბოლოს ტყირთი სატევარმა რომ კი არ მოგლან სულ უბრალოდ არ ნავიდნენ თურმე საჭირო მთელი ძლების დამტვრევაა

მერე გნახავენ თეთრ სარკმელში სიგარეტით მერე გნახავენ თეთრს უფრო თეთრ ხალათიანს მე ვკვდებოდი და ბილო სიტყვას გიბარებდი ხალი ყველაზე დიდ ჯალათზე ჯალათია

არ დამიჯერე შენ ცოცხალი და მე მკვდარი ვერ მიხვდებოდი ვიყვარებდი ადამიანს რადგან გეგონა ყველაფერი დაგამთავრე რომ ჩემი გვამი შენი ბოლო ნადავლია

მე კი ვინექი ბალახებთან შენ ცასავით აუტანელი სინათლით და სიბრტლითაც ადამიანთან რომელ გადადნე ვერ ასწავლი ხოხით მისული სიცოცხლემდე მირბენილთან

ხორცი შეისხი სიყვარულო ხორცი რომელიც მინდოდა ისე დამეტოვა არც გამეცანი ზურგიდნენ ვგრძნობ კარში გასულს როგორ მომელი და ჩენს სახლს ვტოვებ დანგრეულ სახლს სასახლესავით

აყვავდი ჩემი სიყვარულო იმ ყვავილივით რომელიც მხოლოდ ჩემს საფლავთან ნარმომედგინა

მას მერე ვიცი თუ რა არის მართლა ტკივილი
პირველად სხვისა ტკივილით რომ გული მეტკინა

შენთან მოვედი სიყვარულო დიდი ომიდან
ახლა კი მზად ვარ მართლა ვიყო
მართლა ვიბრძოლო
პირველად ყოფნა ცხოვრებაში მაშინ მომინდა
როდესაც მივხვდი რომ
შენთვისაც უნდა ვიცხოვრო

და სიცოცხლეა ახლა ჩემთვის უფრო გმირობა
ყველთვის შეძლებ კაცი საძმე ცივ სკამს მიაკვდე
მას მერე ვიცი შევასრულო უნდა პარობა
როდესაც მხარი უპირობოდ ჩემ მხარს მიაყრდენ

მე არ გავქრები სიყვარულო მე არ ვაპირებ
გაქრობას ზოგჯერ მაპატიე თუკი მამხილა
არყოფნამ მაშინ ვნახე ჩემი ყველა ნაპირი
რაც შენ გარეშე აღარავის არ ვუნახივარ

იცი ქართანაც მიცხოვრია რომ აღარ დამრჩა
ერთი ადგილიც სადაც მახვილს არ გაუვლია
ყველაზე მძიმე ჭრილობა ხომ გარედან არ ჩანს
სასწაულია

რომ კიდევ უცდი გამხმარ ტოტზე ჩიტის მოფრენას
მოფრინდეს რამე გიგალობოს ამბავი გამცნოს
ეს მოლოდინა გამომდგარა წუთისოფელი
დაღლილო კაცო

პირს ვეღარ უშვერ მწველ სხივებს და
ჩრდილებს აგროვებ
მხრეპჩამოყრილი ახლა მხოლოდ ერთ ყვავილს უვლი
სადმე მიუვალ ადგილებში გადასარგავად
შენივე გულის

და ისე მწყობრში დგება ხოლმე უცებ ყოველი
ლამის შენ თვითონ მიჰკრა თითო ჩუმად პირველ ქვას
თითქოს ის ზარი. გაწყვეტილი. იმ ზარს მოელი.
გადმოგირევავს

თითქოს არავის არ ესმოდა ბავშვის მუდარა
გინდა მიმართო გულში იმ ბავშვს : პატარა ფიფქ
ნუ გეშინია ბოლოს მაინც რაც არ მომხდარა
იმაზე ფიქრობ

ქალაქი აძინებს ბიჭებს
ქალაქი იღვიძებს დაო
ახლოა რკინის კარიბჭე
ახლოა სასაფლაო

ნისლებით გაუდენთილი
ნისლებში დაკარგული
საბრალო და კეთილი
კარებზე აკაკუნებს

კარს იქით სიცოცხლეა
კარს იქით ამინდია
აუხდეს ბიჭს ოცნება
იქნება ამიტომაც

ქალაქი აძინებს ბიჭებს
ქალაქი იღვიძებს დაო
სიკედილი აღვიძებს ეჭვებს
ქალაქი სიკედილთან დაოს

სული დამექცა რძესავით
მალე კი იტირებენ დები
და ყველა ნათესავი
იტირებს დებს რომ მოვუკვდები

1
რადგან ნამდვილი არ იყავი სწორედ ამიტომ
გექებდი თორემ ნამდვილების მთელი რიგია
მე ახლა ვხვდები ის დუმილი უნდა გამეგო
რომელიც მაშინ ვერ გამიგია

გეძებდი სწორედ იმიტომ რომ ვერ გიპოვიდი
მერე ვიფიქრე ამ ძებნაზე როცა გამიშვი
დღეს ყველასათვის და შენთვისაც თოვლი მოვიდა
ის თოვლი ჩემი ვერ იქნება სწორედ ამისთვის

ვიღაცა ახლა წასულ ჩიტებს ითვლის ბუხართან
ვიღაცას ნაზად ჩაუშლია დარდი ქერა თმის
ის სიხარული შენც და ყველას რაც გაუხარდა
ვეღარასოდეს ვერ იქნება ჩემი ვერაფრით

2
შენ მშვიდად გძინავს ვარსკვლავებზე ბზინავს გიშერი
მინდა სიზმარში გაგიკვალონ გზები იებმა
გიყურებ ისე მგონია რომ შენ თუ გიშველი
სუყველაფერი მეპატიება

და მათთვის თოვდეს მათი იყოს ყველა ფიფქი და
ყველა შენობა ჩვენი სახლი ისეც დიდია
ყველა წასვლაზე მტკივნეული ბოლო ფიქრიდან
წასვლაა თითქოს მოუსვლელი გზებით მიდიან

შენ მშვიდად გძინავს ჯერ არ იცი რომ გიღალატებ
ამისთვის მასლე განირიავებ მალე გეტყვიან
როგორ მტკიოდა როგორ ვდუმდი როგორ ვმალავდი
როგორ ვკვდებოდი რომ გხედავდი ასე სევდიანს

შენ მშვიდად გძინავს და გიგროვებ ზურგზე ნათურებს
როგორ მინდოდა შემძლებოდა შენთვის გმირობის
ჩადენა მაგრამ მე ყველაფერს ისე ვართულებ
შენ მშვიდად გძინავს ახლა მაგრამ წელან ტიროდი
მაშინ მომინდა არ მქონოდა ერთი ნაგლეჯი
ამბავი სადაც არ იყავი მაგრამ რას ვუზამ
ო როგორ მინდა იცოდე რომ შენ კი არ გერჩი
მთელი ცხოვრება
ჩემ არყოფნას ვზრდი და წყალს ვუსხამ

შენ მოხველ დიდი ოცნებებით გრძელი კაბებით
მოხვედი თითქოს ღმერთი იყო ამის მოსურნე
მე ასე ვიცი ზოგჯერ სადლაც დავიკარგები
და ეს აშინებთ ხოლმე ალბათ ჩემთან მოსულებს

შენ მოხველ თეთრი ყელითა და გიშრის საყურით
მოხვედი თითქოს მოსულიყავ უნდა უთუოდ
მე ხშირად ვიღებ იმას რასაც არ ვიმსახურებ
ამიტომ ვცდილობ ვინმეს საქმე არ გავურთულ

შენ მოხველ ღურვი ყვავილებით როცა სამხილებს
ვაწრობდი ჩემი წარსულიდან თვალთა ჩირალდნებს
მხოლოდ ის შერჩათ რაზეც თვალი არ გავახილე
და აუხდენელ სურვილებად გაუჩინარდნენ

ერთი ძევლი სავარძელი
და ხის მაგიდა
სიყვარული გაავრცელე
მეტი არ გინდა
ყველას დიდი მოწინებით დაემშვიდობე
კიდობანზე შეპარულს და თვით მეკიდობნეს

ყველას უთხარ თითო ჭიქით თითო სიკეთე
მერე წადი და ოთახში გამოიკეტე

სად გიწყვია სიხარულიც დარდიც ღერებად
ყველას მიეც მისი წილი ბედნიერება

ხომ გახსოვს რომ ყველა იყავ ყველად დამთავრდი
ახლა უნდა მოიკრიბო ძალა ზამთარამდე

მერე დიდი თოვლი მოვა დიდი ამბებით
გამრავლება ტკივილები თეთრი აბები

ამ ქალსში ვიღას ახსოეს შენი წრიალი
შენი ყოფნა სამყაროში ვიწრო წრე არი

ბოლოს უნდა შეუერთდეს დაუკავშირდეს
რომ არ იყავ მაშინდელი რომ ხარ მაშინდელს

მცივა და მიკვირს რომ არ თოვს
ხმათა სიჩუმეს ვადარებ
ცდილობ ყოფნისკენ მომმართო
ეჭვებით ნაავადარი

მე უბით ნისლი მომქონდა
შენ თვალნინ გასაფანტავად
იმაზე მეტი დრო მქონდა
ვიღრე შემეძლო ატანა

და ახლა ისევ მაშინებს
ისევ დამეტყო არევა
ნეტავი მეოქვა მაშინვე
რომ არ შემეძლო ტარება

ამ უხარისხო ნილბების
და მანც როგორ ვატარებ
ბოლოს კი შენ მოგიკვდები
ეჭვებით ნაავადარი

80

აი ის დღეა შენ რომ ბრუნდები
და მე ცხოვრებით სავსე კალათის
უკვე უსიტყვოდ ზიდვას ვუნდები
აი ის დღეა შენ რომ წამართვი

ბედნიერების გაყოფის გზებზე
გახსოვს რამდენჯერ გვისაუბრია
რომ ცხოვრებაში მეპოვნა გეზი
და რომ ჩიტივით ზეცის უბიანს

მძაფრად შემეგრძნო მიწის სიფიცხე
არ გამეუღლითა ცრემლით ბარათი
სულ ორი გზაა ერთს ვერ ივიწყებ
და მეორეს კი ვერ უღალატებ

დროშები დროშები დროშები იაფად
სუყველა პატრიოტს სუყველა სიაფანდს
მოგვყიდეთ ცოტა ხნით
და მერე მივაფლავთ

დავმალავთ როგორც კი ყიუინი ჩაცხრება
ისინი სხვებია იგრეგეს არც სხვებმა
მიყურებ ყოველდღე როგორ ინაცრება

თვალები რომლებზეც არასდორს გეჯერა
იცოდნენ საოცარ კადრებზე შევევვა
გახსოვს ჩემი მევდარი ხელი რო გეჭირა
ათასჯერ მოგიკვდა მეტჯერაც

დროშები დროშები დროშები გვინთა
სადაც ჩვენ ვფიტორდებით ისეც სიფიტრეა
რომ სახლაც ცხოვრობენ
ზღაპრული მითია
სადაც ცარიელი ძველი სათითეა

სულ უკან გიბრუნებთ
არაფრად გვჭირდება
იყოს ბლის ხეები ბლისფერი ჩიტები
და ჩვენ ვიოცნებოთ იფრინონ ჩიტებმა





ჯუდი ლი

უცნაურია,
როცა მკვდარი
ასე იძნევი.

მთვარი

რომელი სურვილიდან,
ტბის რომელი სანაპიროდან,
როგორი მზისწულიდან,
რამდენი სიმღერიდან,
რამდენად უმრავიდან,
ან, იქნებ, მოძრავიდან,
რომელი ყველადან,
თითოეულიდან,
რომელი ნათქვამიდან,
ნაგულისხმევიდან,
აღსანიშნიდან,
აღნიშნულიდან —
მოასედა ნაპირად
გულწრფელი კონტური
ახალი მთვარის ამ
მოლურჯო ფორმებს?

დრო

დრო არ გადის ოთახიდან
ფრთხილად, ფეხაკრეფით,
არც ნაჩხუბარი შეყვარებულივით
გაიჯახუნდას ზურგსუკან კარს და
არც შუალედურს შეარჩევს რამეს,
ის ხესავით იტოტება
პარალელურ სამყაროებში,
ის ხესავით მყარად დგას, ფეხსვებს
ილუზიებში იზრდის, იმაგრებს,
ჩვენ კი, კაცნი ვართ,
ვცხოვრობთ და გვიყვარს
ილუზიები.

ციცრული ფლირტი

სხვანაირი სიყვარული ვიცოდით ადრე:
შეარჩევდი სატროს ერთ ფოტოს,
ლამაზ ჩარჩოსაც მოუძებნიდი —
მსუბუქს, პატარას,
აი ისეთს,
გულის ჯიბეში რომ ეტეოდა.
ჰოდა, დაგქონდა, დაატარებდი,
გაკვეთილსა და
გაკვეთილს შორის,
მითუმეტეს, დიდი ფანჯრისას,
კლასელებისგან მაღლად და
გულისფანცქალით
ამოაძვრენდი, დახედავდი

...
და ასეთი განძის მფლობელი,
ოცნებიბდი, რომ ერთხელაც,
აუცილებლად გამოუტყდები.
ახლა კომპიუტერის ეკრანზე,
საქალალდეში ვინახავ
ჩემი რჩეულის
პორტრეტულ ფოტოს
(ინტერეტიდას ჩამოვტვირთე).
დავანაპუნებ თაგუნაზე,
გავხსი სურათს და
დავაკვირდები.

ზეპირად ვიცი,
რომელი ნაკვთში რა სიტყვა დევს,
სად რომელი ფრაზა დამალა,
რაც ვერ დამალა —
რატომ არის ასეთი ცხადი,
მაგას რა უნდა,
სულ გადიდებით შევისწავლე
მთელი პორტრეტი.
მაგრამ, რად ვინდა,
ვიცი, რომ მალე
ეს აღტაცება
გაციფრულდება:

ფოტოს ადრესატს გულებს დავუწერ —
სულ გულებით ავუფუმიჭულებ
სოცექსელში პოსტებს,
თუ თავადაც ასე არ იზამს,
მეგობრებიდან ამოვშლი სულაც,
დავბლოკავ კიდეც
თავშესაქცევად,
საქალალდესაც გადავისვრი
ნაგავში, ბოლოს.
მაგრამ იმ ფოტოს,
კლასელისას
(ვერასდროს რომ გავუმხილე
ეს საიდუმლო), —
ლამაზ ჩარჩოში ჩამულსა და
ნესტით გაუდენთილს,
დღემდე ვინახავ,
სხვენში ვინახავ
საგულდაგულოდ.

შიშის სიცნიმები

მიუსაფარმა ძალლმა
ჩამოარა ხიდზე.
დამინახა და იქვე
გაშეშდა, იგრძნო:
ლამის ქალაქის მოძრაობას
გამოთიშული,
სინონიმები გიყავით
შიშის.

ცა, რომელი და უსესა თვალი სინათლეს

დასრულდა დღე. ცა
ახალი მთვარით დაკავებულა
და ისე შფოთავს,
თითქოს პირველად დაუხუჭა
სინათლეს თვალი.

სიყვარული


ეს ტექსტი აუდიტორიის წინაშე მწერალთა სახლში მე-
7 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის ფარ-
გლებში გამართულ დასკვნით დონისძიებაზე წავიკითხე.
ვიღერ კითხვას დავიწყებდი, მსმენელებს ავუხსენი, რომ
უსათაურო ლექსის ნარდენას ვაპირებდი და მათი ჩარ-
თულობა მძირდებოდა. ვთხოვე, ეკარნახათ ნებისმიერი
სიტყვა, რაც მათთვის მნიშვნელოვანი იყო ან სპონტანუ-
რად ამოუტივდებოდათ გონებაში. პოეტმა ლელა კუ-
რტანიძემ ძემომთავაზა სიტყვა „სიყვარული“. ჩემი პირო-
ბის მიხედვით, სადაც არ უნდა გმირებულებს ეს ტექსტი,
მისი სათაური იქნება ლელა კურტანიძის მიერ ვაზარე-
ბული სიტყვა, რომელმაც მაშინ სწორედ სიყვარულის ატ-
მოსფერო შექმნა.

რა უნდა ქნა,
თუ აღმოაჩენ,
რომ შენს სხეულს,
სასურველ სხეულს,
ფლანგებიდან
ლექსამიანი ჭაობები შემოხვევია.
ამ ჭაობებში
ჭინკები და კუდიანები
კოცონის ანთებენ,
ხეობებში კი
ის სიზმრები დასეირნობენ,
ჯერ რომ არავის დასიზმრებია;
რა უნდა ქნა, თუ
მაგ შენს სხეულს ფლანგებიდან
ბელი ბუჩქნარი ან ტყიანი,
არდანერილი ლექსის ტყიანი
მთა ესაზღვრება

და შენს სულამდე მისაღნევად
ყურადღებით უნდა გაჩხოკო
ყოველი ხევი,
ყოველი ხრამი,
ბნელი ჭაობი;
რა უნდა ქნა თუ
პირი არ გერჩის,
ენა დადუმდა
და აშენებს
პირველყოფილი ადამიანის
ბიბლიოთეკას.
რა უნდა ქნა თუ შენი ჩრდილი,
წყალში ნანახი ორეული,
რეალურია,
ან შენს ხელში ფეტიშები ვნებით ბრწყინავენ,
რა უნდა ქნა, თუ ეს ყვავილი
შენი სისხლია
და წვიმა შენი ენასავით მუდმივად სველი,
რა უნდა ქნა, თუ განდობილმა რალაც გადმოგცა,
რალაც ისეთი, რითიც სამყაროს მოავადოვებ;
ან რა უნდა ქნა, უდაბნოში თუ იბადები,
გალაფნიანი ურუქის მიღმა,
რა გზას აირჩევ,
როგორ მოძებნი მიმართულებას?
ქვიშასავით უფორმოა ყველა სიზმარი
და წყალივით მოქნილია ყველა გონება.
როგორ აძლევდი სილას ფორმებს სანაპიროზე?
რა აშენებ ბავშვობაში სუფთა ხელებით?
რაზე ფიქრობდი სულ პატარა, რაზე დარდობდი,
როგორ სურვილებს გაეკიდე, რომელ ოცნებას?
რა მოხდება, თუ აღმოაჩენ,
შენს სხეულს აკრავს:
ლექსამიანი ჭაობები,
ტყით დაფარული მთები და ხევი —
თითოეული, საესე, ხიფათით,
მაგრამ ერთ ნამსაც თუ დააყოვნება,
გაციფრულდები.

ერთხელ, მეგობარმა პოეტმა, მარი ჩხაიძემ, თავისი
პოეტური ტექსტი გამომიზ ზაგრა. ის ნერდა, რომ სიყვა-
რულისა და შიშის მიჯადოუბულ ნერგია სიკვდილის შედა-
ება... მე კი ვუპასუხე:

მას შემდეგ, რაც მოვკვდი
და მხოლოდ აქედან,
ამის გავლით და აქამდე,
დავიკერე, რომ ცოცხალი ვარ.
სადღაც ვეითხულობდი,
ხე მხოლოდ ფოთოლდების დამატებაა,
ხოლო მთები
ნერგის შემაში გაიხსნა
და დავიბენი.



ზაზა მაღულარია

* * *

სადაც სიმაღლის ლალია არე,
იქ ხშირად სტუმრობს ნისლი და ლავა...
ჭრილობას როდი აყრიან მარილს,
ჭრილობა მარილს იზიდავს თავად...

წამიდან წამით
ეხლება ჟამი —
უსაზღვრო შხამი
დღეებს მწუხრიანს...
მამათა მელავებს
შვილები ხრავენ,
ბრიყვნი კი თავებს
ვირთხებს უხრიან...

ყველა ხე, ცისკენ რომელიც იწევს,
ცას მეტნილ ჭვარტლით ფარავს ვნებული
და ნაცრად ისე ერწყმება მინას,
თითქს არასდროს არ არსებულა...

რაც საარაკო მხარეა სიზმრად,
ცხადს ასპარეზი ხდება ცდუნების,
იმ ტკივილს, ტრფობის ძალი რომ ისრაეს,
გემოს ვერაფრით დაუწუნებენ...

...ცხოვრებას ეკლებს როდი აყრიან,
ცხოვრება ტყე-ლრეს თავად იზიდავს,
რადგან სავალი „მოდი ნახეა“ —
ამოხეთქილი ლავად მიზნიდან...

სიგიშვი...

სიგიშვის ზღვართან მეტ-ნაკლებად თუ არ მიხვედი,
თუ უფალს თავი თაგებედურად არ გაუტოლე,
თუ ვერ შეიგრძენ, ეს სამყარო როა ნილხვედრი
შენი, ვით მარტის — ქარმოსლი ნარგი უთოვლო;
თუ ზღვის სილრმეში, ვით ნალეოტში, ვარდი არა რგე,
მშვილდის გარეშე, ზებუნებრივ არ ჰკალ ნადირი,
თუ ერთი ბრძნული, შეფარული ფანდით, არა კით,
ასიათასის გული მსწრაფლ ვერ მიზანდირე;
თუ ვერ ჩახშე შენს ფიქრები „ურჩი“ არია
და ცათამბრჯენი ვერ აღმართე ოფლის გარეშე,
თუ ვერ იხილე, რაც სხვათათვის უჩინარია,
უფლის კვალდაკვალ ზეცა თუ ვერ მოითარეშე;
თუ შენს თვალებში არ ბორბერობს ალი მგუდავის
და ყყველივეს გონებაში არ აქვს სადგური,
შენი სისუსტე გაგაგიუბის მაინც უდავოდ
და რეალობის სითავხედე გაგანადგურებს...

* * *

...როცა უღმერთობით წყდება სიახლოვე
ღმერთიან...
და სხვა საწყისას ავლენს პანტომიმა,
როცა მამონები წყებად კრიახობენ,
რწმენის პორიზონტებს სრავენ ფანტომურად;
როცა ფოლიანტებს ყავლი ენურებათ,
მწუხრი დასთამაშებთ ცისკის რუს გზად მსტოვრებს,
როცა ბალდახინით ნათრევ მხეცურ ვნებას
სული ნაწყმედილი სხეულს უსახსოვრებს;

როცა პატივეგება ქრება წინაპართა
და ბლაცვ გონებაში ცისფერს ერწყმის მწვანე,
როცა ველაც უწყი, შენს წის ვარ აღმართა
კერპი ცეცხლისა, თუ ჩერი ვერცხლისწყალის;
როცა ევფონიას მსჭვალავს მჭახე ხმები,
საზღვრავს ურწმენობა რწმენის გრძნეულ ფართობს,
მაშინ მონაზონიც ქალაც აღიქმება,
ვინაც ცხოველურს უინს უნდა შეუფარდო...

P.S.

...წამისა აღტენება სუსხაეს საუეუნეს
(უამი ურთულესი ამდარ იკონება),
არე „ლალ“ დინებას უსხამს ღრმა უკუნეთს
კალმის ბურთულაზე დამკვდარ სტრიქონებად...

„შენ ხარ ვენახი“

„დაიზრდებიან კიდევაცო“ — ასე ამბობენ
და აღგეთისას ადარებენ ათას ჯურის ლეკვს
და შეთაფლული ანგარების ნაზი ამბორით
ფარჩა-ატლასით რთავენ კერპებს და საჭურისებს...

„შენ ხარ ვენახი“ — ვინც გიხილა, შეგიცნო ყველამ,
შენი სურვილით შეპყრობილი ტალღაც დასხდა,
სისხლი კი არა, შენს ძარღვებში დენთი მოღელავს,
გაცამტევერების ისტერით ბალდამნამოსი...

„შენ ხარ ვენახი“ —

ბასრმტევნება, ლურჯი ცის უბნად,
გადახრუკული ბრწყნივალების აფრის ნახვი,
მსუყე ხორგით დაზვინული ურჩი ყმის სუფრა,
მკვეთრი სინთეზი ორლესური დაფუნის და ხევის...

შენ ვენახობას ათასნლოვანს, ათას ნაჭირალს,
ფერხორცნაშლილი ამყარებენ ძელები მამების —
ვინაც ფესვები შენი ლპობას გადაარჩინა
და ლერწი შენი ბანგმორეულ წლებს მიანება...

...მაგრამ დღეს სხვა მამი მოგეძალა, სხვა მზე აგესლდა,
ხროვა ბატკების მოუმრავლდა მშფოთავ აბრამსაც
და ათასნლოვან სასოებით ნათავე-ნაკემსი,
შემოგეფხინა სამოსელი ორთავ ნაპრალზე...

...ეფუქ ვაზნებივით გადაანწყობ დღეებს უდღეურს
და მასთან ერთად ნაკერცხლიან სასჯელს ზვარაკად
მეც მინილადებ: ბალს გადამწვარს,
ტყეებს უხეოს...

გრძნობებს ნასუფრალს,
ნანისქვილარს,
ნააგარაკალს...

...ეშვებჩაცვენილ მძეინვარებას გაღევს სხვა მზარე
(სხვა სამყაროში თუნდაც ჯოჯომ გაიდიდგულოს!)
„შენ ხარ ვენახი!“ და არასგზით ნავენახარი:
ნიგნი, რომელსაც აღარავინ აღარ კითხულობს...

„შენ ხარ ვენახი“ — ჩემი ლოცვა უჭირისუფლოდ,
ზღვაჭირნახადი უკვდაგების კართან მიმყოლი,
მსუყე ხორაგით დაზვინული ურჩი ყმის სუფრა:
გზა, რაც ამ ორში ერთი უცილოდ გადაიყოლებს...

„...დაიზრდებიან კიდევაცო“ — ასე ამბობენ
და აღგეთისას ადარებენ ლეკვებს უჯიშოს
და უგერგილო წარმოდგენით წაკვებ-წალპობინი,
მერე მოსთევამენ — ნეტავ მამულს რისოვის უჭირსო...

* * *

გავსებ messenger-ში ათას სისულელით,
აღბათ მოგაბეზრე როშვით უკვე თავი,
იმ ტიპი დავემსაგასე, უინს რომ ისრულებენ,
მერე ახალ უინს რომ გროშად უკვეთავენ...

წელთა მდინარებაშ სული ამომწენა
(დროგის ცხენებივით დასხლტნენ ქარაოცნი),
თუმცა ფიქრით ვლამობ, ისე გამოგერნო,
შენი თავის ხილვაშ შენვე გაგაოცოს...

რა ვთქვა...

ბედის ხიდი ჩემეცნ ვერ იდება
(თუმცა კალენდარზე უკვე მარტი არის)...
შენთან სიახლოვეს მკაცრად ვერიდები,
მაგრამ დისტანცია? —
სრულად მატიალებს...

ვთქვათ, ვერ დავეტიო მე ჩემს სამოსელში,
შენკვენ მოვიწიო ერთი-ორი ვერსით,
იქნებ შემა სახემ, მე რომ გამოვძერნე,
ცხადში ყველა გრძნობა მოსპოს, მომილესოს?

...გელტვი,
გეკრძალები,
ნატიფ ამო სხეულს,
როგორც ჟანგთა ხროვას გრდემლი, ძალაყინი...

...და ვთრთი ცივ სარემელთან
ბოთლში გამომწყვდეულ
გემოგანყალებულ ტყემლის არაყივით...

აკვიატება...

აკვიატება:
ვნება ვეშაპის,
გაცრიატება:
ძრნოლა მერყევი
სულის,
სიყრმით რომ გზნებით გგებავენ,
გზტავენ და მაინც ორად ვერ გხევენ...

თა სისხლი გიდულს,
თან სული გენწის,
ზოგჯერ კი „ბედად“ სხვათ ჰევრი ზიანებს
და შენს მოძმეთა თვალებში ბერწვი
დორეზე მეტად გაღიზიანებს...

შემოჰყენია არეს კანტებად,
მარტის სურნელით — მარტი ნასვამი,
რომ არა წლების აკვიატება,
დღესვე შენს თავთან წერტილს დასვამდი...

მაგრამ სიმძდალით არ ითარსები,
აწონასნორებ ელფებს, ვამპირებს
შეში, რადგან თუ ღმერთი არსებობს,
ეშმა ვერასდროს გაგინაპირებს...

აკვიატებას ძრნოლით თავს უხრი
და მზერას აპყრობ ბრძოლის უტევანს...

...ყველა კითხვას აქვს სწორი პასუხი,
თუ სულმაც სული არ განუტევა...

* * *
ასჯერ გაზომილს
გასაჭრელად ვერც გამეტებ —
ბასრ სამართებელს
ვერ დაუსვამ წარსულს უკენებლად,
რათა ბოლომდის არ წაგერთვას ყველა იმედი,
რაიც აქამდე სხივს გფენდა და გასულდგმულებდა...

რომ ის მსახვრალი —
სახვალიო
სალტე,
ისარი,
დღესვე არ გექცნენ ქვესკნელების „ამო“ ზარებად,
თორემ მერმისი გაითენებს სხვა დღეს ისევე
და შენს შემდგომაც არ მოშლის გამოდარებას...

რათა ბოლომდის არ ირწმუნო, დრო ვით თარეშობს —
მზე-ლამაზმანთა სინატიფის ზუთვა-დამუსვრის,
რომ უაზროა აღმაფრენა ლტოლვის გარეშე,
თუკი ლირსებას ვერ ახადა სულმთლად ნამუსი...

...ვთ „უაზრარ“ სიყვრულის ჩარჩებს, კლიენტებს,
ასჯერ გაზომილს ზეცის სცხია არ რა მისხალი...

თუ გაზომვაა,

ერთხელ სცადე და ღმერთს მიენდე,

ვიდრე მონამლულ სისხლს ბოლომდე გადაიყოლებს...

ბუნებას ხაში შესული მსუქანი და მაღალი ქალი გვასწავლიდა. დიდი სათვალე ეკეთა. სათვალის მიხებიდან დიდი თვალები მოუჩანდა. თუ გაბრაზდებოდა, ან რამე გაუკვირდებოდა, თვალებს დაქაჩავდა ხოლმე და ისედაც დიდი თვალები უსაშველოდ დიდი უზედოდა.

ეს პირველად დემიონმ შენიშნა. დასვენებაზე მთელი კლასი შეგვერიბა და გვეითხა:

— აბა, ვინ მიხვდება, იდა მასწავლებელი ვის ჰგავს?

ჩვენ მხრები ავიჩეჩეთ და კითხვითვე ვუპასუხეთ:

— ვის ჰგავს?

— ეგ თქვენ უნდა გამოიცნოთ, მე თუ გითხარით, რალა გამოვა?

— კარგი, — თქვა ლევანმა, — მაშინ — დათვა.

კატომ — ჭოტსო.

თეკლაკომ — უპროპელერო კარლსონია.

ნატამ — არა, კარლსონი კი არა... ბიჭუნას ძინა რო არის... რა ქვია... კარლსონი რო გადარევს... ვაა, რა ქვია!.. იმას გავსო.

ომ — ხო, ეეე!.. ნაღდად ფრეკენ ბოკიან.

მე — ფრეკენ ბოკს სათვალე სად ეკეთა, შე სულელო, ნამდვილად უირაფიამეთქი.

ზუამ — უირაფს ხო სულ სათვალე უკეთია... ყანჩარა.

— ე, ვერ მიხვდით! — ხელი ჩაიქნია დემიკომ, და გვითხრა, — ნითელქუდას მგელს ჰგავს.

ნითელქუდას მგელს ჰგავსო?

გაკვირვებულებმა გადაეხედეთ ერთმანეთს.

დემიკო სათვალიან გელასთან მივიდა, სათვალე მოხსნა, თვითონ გაიკეთა, თვალები დაქაჩა და წირინით უთხრა:

— ბებია, ბებია, რატომ გაქვს ამხელა თვალები?

თვალინ დაგვიდგა ნითელქუდას ბების ლოგინში ჩანოლილ მგელი, ბების სათვალე რომ ეკეთა და სტუმრად მისულ ნითელქუდას დიდი თვალებით მისჩერებოდა.

სიცილი აგვიტყდა...

მას შემდეგ იდა მასწავლებელს ნითელქუდას მგელი შევარქვით.

ნითელქუდას მგელი კლასში რომ შემოვიდოდა, სათითაოდ შემოგვაცექერდებოდა და მოკლედ შეკრებილ თმაზე ნაზად ისვამდა ხელისგულებს.

ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, პაკუნით დადიოდა მაღალქულინი ფეხსაცმლებით და ჩამონილილ სიჩქმეში იატაიის ჭრიალი ისმოდა.

კლასში რომ შემოვიდა, მისალმების ნიშნად ფეხზე ნამოვდექით. ლევანი ხმამაღლა მიყსალმა:

— გამარჯობა, იდა მასწავლებელ!

— გაგიმარჯოს! — უგულოდ გაეპასულა ნითელქუდას მგელი და ხელით გვანიშნა, დასხედით.

ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო.

— უჟ, რა ჩასული ჰაერია, — ხმამაღლა ჩაიღლაპარაკა და სათითაოდ დაგვიწყო თვალიერება.

— ჩაბუთული არა ბახუთული! — ჩემი ტანსაცმლის რომელილაც ნაწილიდან ამოიძახა ფეხი.

თეკლაკომ გაკვირვებულმა გადმომხედა.

— სადა ხარ, სად დაძერები, — ნავჩურჩულები და სახე პიჯაჭმი შევავით.

ფერ მუცელზე ფიგრძენი ფეხის მოტყაპუნება, მერე — მკერდზე, მერე ყურის ბიბლიო ამენვა და ბოლოს ფეხის ხმაცველი გავიგონე:

— ნამიყვანე დედასთან!

— ხომ არ გაგიყდი, ხელა სად ნაგიყვანო, ვერ ხედავ, გაკეთილი და გვანიშნა, გაბრაზებულმა ნაგურურულები და მუშტში მოვიკიე, — ჩაჯეები ჩანთაში და ხმა არ ამოიღო, თორებ მაგ გაბუშტულ ცხვირის უფრო გაგიბუშტულ! — მოჩერებითი სიმკრიო დავემუქრე და ჩანთაში ჩავსო.

— ვიტორებ! — ნამოასლოვანი ფეხი და ცრემლებით დაგრანა თვალები, — აი, ნახავ, თუ არ ვიტორო! — ახლა თვითონ დამეტურა, ქვედა და გვითორ გადმომეტურიდა და სატიროად მოგინდონ.

ლიტერატურული გაზეთი

ილია გველესიანი

მე, ჯუბი და სხვაპი

ანუ

შეთვის მოყოლილი ამბაბი



ჯუბის სიტყვები გულზე მომხვდა.

ვიგრძენი, როგორ შემეკრა ნარბები, როგორ მომედრიცა სახე და საკუთარი სიტყვები ყურში ჩამესმა:

— დედა მინდა!

— ვინ გინდა? — შემომეხმიანა თეკლაკომ.

გონს მოვედი.

„რაღა დროს ჩემებელა კაცის დედის მონატრებაა. ეს რა წამორცდა!“ — გავითეკრი.

ჩემს საუკეთესო მეგობართან, ისიც გოგოსთან, რომარ შეკრცხვენილიყავი, თავი მოვიკაუნე და მასწავლებელს დავუწყე ყურება.

დაფასთან იდგა, ხელში ცარცი ეკავა, მოებს და ბორცვებს ხატავდა და ძალიან მონდომებით ჰყვებოდა რაღაცას.

— რა თქვი, ვინ მინდაო? — არ მომეშვა თეკლაკომ და იდაყვზე მომქაჩა.

— მე კი არა, ჯუბის უნდა დედათან. არ ისვენებს. რა ვქნა?

— ეხლა რა უნდა ვქნათ. გაკვეთილები რო დამთავრდება, ნავიყვნოთ.

ჯუბი სულ გადაირია:

ჯერ ასლოვინა და ასრუტუნა, მერე ყურადღება რომ არ მივაქციე, ჩანთიდან კალმისტარი ამოაგდო, მერე — საშლელი, მერე რეველები ამოყარა, მერე თვითონ ამოძრა და მაგიდაზე გაირბინა.

ეს მეტისმეტი იყო.

— ეს რა გააკეთე? — ყურზე ვწვდი და ორად მოვუეცე, — ხელავე უკან ჩააღავე ყველაფერი!

— ააა!!! — იღრიალა ჯუბიმ. ხელიდან გამისხლტა, მხარზე გადამირბინა, ზურგიდან გადამახტა და დემიკოს მერზე დასტა.

— ეს ვინ არის? — იკითხა შეშინებულმა დემიკომ და თითო მისკენ გააპარა.

— ვინა ვარ და — ჯუბი. დედიკოც მყავს. ჩემს დედიკოს ჯამენა ქვია. შენ დედი და ჯამენა უნდა დაუძახო. უფროსებს ზრდილობიანი ბაგშები უყვართ. უზრდებ ბაგშებს უნერებიან და ყურს უწევენ, — ყურის სრესვით უთხრა ჯუბიმ და მის განვდილ თითო ბრჭყალი გაჟრირა.

— ლაპარაკობს, ეე! — თქვა კატომ.

— მურჯი კი არა ვარ. რაც დაგრაბადე, სულ ვლაპარაკობ, — ჯუბი მაგიდაზე და ჯამენაზე დაუძახოს უყვართ. უზრდებ ბაგშებს კი არა — აი, ბაგშები რომ სახლს დახატავენ და საკამატორიდან კვამლს ამოასუჭუჭებინ ხოლმე, ისეთრაღაცებს ჯლაბიდა.

— ეს მატარებელია! — გამოაცხადა ჯუბიმ და თათი ხაჯაბანს მიადო.

— ეგ როგორი მატარებელია? — სიცილით იკითხა კატომ.

— მატარებელი ასეთია! — დარწმუნებით თქვა ჯუბიმ, და განაგრძო, — ეს მე ვარ (ნაჯალანს პატარა რგოლი დაახატა), ეს ჩემი დედიკოა (პატარა რგოლი რგოლი რგოლი მიუხატა). მე და დედიკო მატარებელი ვსხედვართ და მივდივართ!

ჩუქუ ჩუქუ შემდინარები ჩამოარება და ჩანთაში ჩავსო.

— ნამიყვანე დედასთან!

— ხომ არ გაგიყდი, ხელა სად ნაგიყვანო, ვერ ხედავ, გაკეთილი და გვანიშნა, გაბრაზებულმა ნაგურურულები და მუშტში მოვიკიე, — ჩაჯეები ჩანთაში და ხმა არ ამოიღო, თორებ მაგ გაბუშტულ ცხვირის უფრო გაგიბუშტულ! — მოჩერებითი სიმკრიო დავემუქრე და ჩანთაში ჩავსო.

— ვიტორებ! — ნამოასლოვანი ფეხი და ცრემლებით დაგრანა თვალები, — აი, ნახავ, თუ არ ვიტორო! — ახლა თვითონ დამეტურა, ქვედა და გვითორ გადმომეტურიდა და სატიროად მოგინდონ.

— ეს მეტისმეტი იყო.

— რეინის გადაელით ხიდის მატარებელი მიდის.

ჯუბი ზე კარგი ვინ ტყვეს,

მატარებელი რო მატყავს!

ლა-ლა-ლა!.. ლა-ლა-ლა!..

ნითელქუდას მგელი ისე იყო გაოცებული,

ლიტერატურული გაზეთი

ციკეში ან ზოოპარკში რომ ჩაბარონ? რა სისულელეა. ჯუბის რა უნდა ცხოველებთან...
ეგეც რომ არ იყოს, უდედოდ როგორ გაძლებს ჯუბი?!
დედია ჯამენა?..
დედია ჯამენა როგორ გაძლებს უჯუბოდ!

უერთმანეთოდ ორივე მოკვდება...
როგორმე უნდა უშველო ჯუბის. მე და ჯუბი ხომ საუკეთესო მეგობრები უნდა გავხდეთ?!

— ჯუბი უნდა გადავარჩინოთ, — ვუთხარი თელაკოს და ჩემი გეგმა გავუშმილე, — ჯუბის გავიტაცებ და წითელ ბალში, შადრევანთ, დაგელოდები. იქ მოდი და დედამისათან წაყიდვანთ.

თელაკომ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნა.

მოცდა ალარ შეიძლებოდა. ყოველი წუთი ჯუბისთვის შეიძლება, დამლუპველი აღმოჩენილიყო.

ფეხზე ნამოვჭტი, დაფასათან მივირბინე, ჯუბის ხელი ესტაცე და გარეთ გავვარდი.

ზარიც დაირეკა.

სკოლის ეზო ფრთხილად გავიარე, ჭიშკარში გავედი თუ არა, მაშინდა გავიქცეო. ვაფლოვანის აღმართი შეუსვერებლად ავირბინე, ცისფერი ბუშტების ქუჩა გადავჭერი, წითელ ბალში შევვარდი და მებალის ფარდულს გულმოვარდნილი ავეკარი.

დავიდალე.

გული ამოვარდნაზე მქონდა.

— ეს რა მაგარი სირბილი გცოდნია!

— პიჯაკის ჯიბიდინ გამომძახა ჯუბიმ, ყოჩალ! — შემაქო და ტაშიც დამიკრა.

უცებ წარმოვიდგინე, წითელ ქუცას მგელი როგორ შეხვდებოდა დირექტორს, როგორ მოყვავებოდა ჯუბიზე, როგორ მოყვავებდა ჩემი კალასიდან გაცევის ამბავს, და დამიწყებდნენ ძებნას. ეკრად რომ ვერ მიპოვდნენ, დედასა და ბებიას შეატყობინებდნენ — ბავშვი დაიკარგაო. და მერე...

აუ, რა მოხდება მერე?

— ვინ ხარ, რა გინდა ჩემგან! — გაბრაზებულმა უუყვირე ჯუბის და ყურებზე ვწვდო.

— აააა!.. მეტყინა! — იყვირა ჯუბიმ.

— რას გადამეკადე, ამხელა ქალაქში სხვა სახლი არ იყო, ჩემს სახლში რო არ შემოძრალიყო!

— ნამიყანე დედასთან! — კი არ მთხოვა, მიბრძანა.

— სახლში რო მივალ, ვინ იცის, რა მომელის... მამაჩემიც გაიგებს!.. ეჱ! — ჩაფიქრებულმა ამოვიოხრე.

— დედაჩემი როგორგებს, როგორ მანვალებ, აი, მაშინ ნახავ, რა მოგივა! — თავის ქრევით დამემუქრა ჯუბი და თვალები მოისრისა.

— რა მომივა? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— რა მოგივა და... — ცოტა ხანს იფიქრა, ვერაფერი რომ ვერ მოივიქრა, ეს თქვავა, ნახავ, რაც მოგივა!

გული მომიღება.

— შევრიგდეთ. რაც იყო, იყო! ბოლოს დაბოლოს, ჩენენ ხო მეგობრები ვართ, — ვუთხარი და ხელი გავუნდე. — დაკა თათ.

ჯუბი გამოწვდილ ხელზე დაეჭვებული დამაცერდა — ალბათ ფიქრობდა, რაიმე ხაფანგში არ გავებაო.

— ჰა, არ შევრიგდეთ?

— გაშინ ალარსიდან გაცევის ამბავს, თუ კი არ იყო, ჩენენ არ გამოწვდინებ?

— ალარსიდეს, ალარსიდეს გაწყების შემთხვევაში და შევრიგდეთ?

— შევრიგდეთ! — მითხარ ჯუბი და თვითონაც მაკოცა ცხვირზე.

— სად არის თელაკო ამდენ ხანს, ვთქვი და ბალი მოვათვალიერე. ქუჩაშიც გავიხედე — არსად ჩანდა თელაკო.

ხის ტოტზე დასუპებული ბელურები დავითხებ.

შლურტულებულენ...

ფრთხილებულენ...

ალბათ სასაცილო ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს.

მათ შორის ჩემი მეზობელი ჩიტიც ერია.

დაძახება მინდოდა, მაგრამ სახელი არ ვიცოდი. დავუსტვინე. არავინ გამომშედა.

— ე, შენ, ჩიტო!.. არ გესმის?.. აქეთ გამოხედე!

ყველანი ჩემეცენ მობრუნდნენ. მისალმების ნიშნად ხელი ავწიე. ჩემმა მეზობელმა ბელურამ მიცნო და ულურტული მომესალმა.

— მოდი! — თითით ვანიშნე. ბელურა მოფრინდა და ჩემ ნინ ქიშაზე დაჯდა.

— შენ რა გქვია? — ისე ვკითხე, თითქოს მისი სახელი იმ წუთის დამავიწყდა.

— ალერსია.

— ალერსია რა სახელია... ვინ დაგარქვა?

— დედობ.

— პატარა რომ ვიყავი და დედა ენას ვსნალობდი, იმ წიგნში შენინარი ჩიტი ეხატა. იქიდან ხო არ ამოფრინდი? — ლიმილი ით ვკითხე.

— არა, — სერიოზულად მიპასუხა ალერსიმ, მესამე გეგმის და დამდა და ნაფშევენებს ტანსაცმელზე მაყრიდა.

უცებ ქამა შენვიტა, ფეხები მხარზე ამიბაკება და სიმღერა წამოიწყო:

— ჯაბა-ჯუბი, ჯაბა-ჯუბი,

დედაკოსტან მივალ ჯუბი.

გზაზე არვინ შემაჩეროთ,

თავი არ მაქვს თქვენთან ჩხუბის.

გული მიცემს ბაგაბუგით,

მივიჩეარი პაკაბუკით.

დედა მაღალ თუ არ ვახახე,

ცრემლებს დავდღვრი ლაპალუბით.

— ეს ციცქა ტიპი ვინ არის? — მოგვესმა ხრინინანი ხმა.

ცხრათვალა მზის ქუჩის კუთხეში ბებრა განოლობიყო და ფეხით კისერს იქეა ქადა.

— აბა, რო ამბობენ, უმზეო დღეაო!.. რა, მაშინაც არის?

— მაშინაც არის. ადამიანები ვერ ხედავთ, თოვე ის ყველგან და ყველაფერშია ხემი, ყვავილშიც, ბალაზიც, თქვენშიც.

— ქაბშიც და ნიმიაშიც?

— ქაბშიც, წვიმშიც, თოვლშიც... — გააგრძელა ჩამოთვლა ალერსიაშ.

— ჩემშიც არის? — იკითხა ჯუბიმ და ციცქა პირის დახურვა დავაწყინდა.

— შენში მზე რომ არ იყოს, ამდენი სითბო და სინათლე არ გედგებოდა თვალებით.

— ესე იგი, რა გამოდის — შენ მზეს უგალობ...

— მე მზეს უგალობ, მზე კი ყველაფერს, — მოკლედ მომიტრა სიტყა ალერსიაში.

— შენ ფილოსოფოსი ჩიტი ხარ?

— არ ვიცი, ფილოდოფუსი რას ნიშნავს. — როგორ, ფილოსი ალერსიაშ.

— არ ვიცი, არც მე ვიცი და ამიტოცის მნიშვნელობა. ალერსიასთან რომ არ შევრცვენილიყო, სხვა რა მარტები გადავითანებოდა.

— შენ ფილო ფილო ტანა გადასახად, თათიდან ფუნთუშა გადასახადად და ჩემ წიგნიც?

— მე მზეს უგალობ, მზე კი ყველაფერს, — მოკლედ მომიტრა სიტყა ალერსიაში.

— შენ ფილო ფილო ტანა გადასახად, თათიდან ფუნთუშა გადასახადად და ჩემ წიგნიც?

— მე მზეს უგალობ, მზე კი ყველაფერს, — მოკლედ მომიტრა სიტყა ალერსიაში.

— შენ ფილო ფილო ტანა გადასახად, თათიდან ფუნთუშა გადასახადად და ჩემ წიგნიც?

— საიდან მოიტანე? — ჰერთხა გაკვირვებულმა თეკლაკომ.

— ვიყიდე, — თქვა და ჯუბის თვალი ჩაუკარა.

— ფუნთუშა ჯუბის მივაწოდე. ჯუბიმ ჩამომართვა, ლილინით ჩატრიდებულ ბებერაში თავით ჩავისვი სამზარეულოს იატაზე.

— ჩემს დედოფილისთან მივდივართ. თეკლაკოსთანა სახლში. შენც წამოდი ჩემს დებერაში და გამოგხედა მე და თეკლაკოს.

— ჩემს დედოფილისთან მივდივართ. თეკლაკოსთანა სახლში. შენც წამოდი ჩემს დებერაში და გამოგხედა მე და თეკლაკოს.

— მე მშია! — იყვირა ჯუბიმ, — მე მინდა ხატაპური.

— ხატაპურს შევჭამდი, — თქვა თეკლაკომ.

— რა კარგია, რა კარგია!.. ხატაპური, ხატაპური!.. გაგა, რა არის ხატაპური? — მკითხა უცებ ჯუბიმ.

დაგიუტი



დავით რჩეულიშვილი

იუდა

მეც ერთხელ მაინც ვიყავ იუდა,
გამიყიდიხარ ოცდაათ ვერცხლად
და როცა სისხლით აივსო გუდა,
შენზე წეტილიც გაფრინდა მერცხლად;
ბრუტუსიც მე ვარ... არვინ იცოდა...
თუ კეისარი გეგოზე, განა?
როდესაც სული ამოგდიოდა,
მე დაგკარ ოცდამესამე დანა!

ნატვრა

იმაზე ვნატრობ ლამითა,
ჟამი რომ დეგება ძილისა:
რომ გული მქონდეს უდრევე,
გამძლე ყოვლისა ჭირისა;
ვერ გამიტეხოს ავ სიტყვამ
ნათქამი ავი პირისა,
ვერც ამიმაღლოს ქებამა,
დღე რომ დადგება ლხინისა...
არ მწადდეს სხეისი სახელი,
არ მშურდეს მზისა სხივისა,
მთვარეც რომ ვიყო მე ბნელი,
ჩრდილიც რომ ვიყო ჩრდილისა...

აცლერძი მამისა

მამავ, ანდერძად მიბოძე
ნშინდა მე შენი სახელი...
არა მჭირდება ქინება
მრავალტანჯული, ნაქელი,
ოქრო ხომ მუდამ იღევა —
დღეს მთად, ხვალ დარჩა მუქადა,
შენგან დატოვილ სახელს კი
ვერად დავსარვეა ფუჭადა.
ვერ გავცემ, ვერ დავარიგებ,
ვერ წამგლეჯს ქარი ძლიერი,
უკაცურ უდაბნოშიაც
გავძლები მწყურვალ-მშიერი.



ართი სეზონის აგავავი

რეპსი ყეფას არ იშლის, უკვე ძალიან შემანება. სა-სეირნოდ მიტყუებს გარეთ, მაგრამ ჯერ ძალიან ცხელა, სახლში კი შედარებით ინგრილება. ახლა დავფიქრდი — ისე, რამ დამარქებენია ამ შტერი ძალისთვის რექსი? ყველაზე უბრალო სახელია, აი, ისეთი, ძალის რომ უნდა ერქვას და ჰქვია კიდევ. ბავშვობაში, ბებიასთან სოფელში ძალი რომ მყავდა სოფიო ერქვა. ძალიან სასაცილოა, მაგრამ განსხვავებული სახელი მაინც ერქვა და ყველას უყვარდა. არა, რექსიც ბევრს უყვარს, თუმცა ახლა მე თვითონ ვარ ბაბუა კაცი (რაღა მიკლია) და ეს სახელი რამ დამარქებენია ძალისთვის ვერ ვხვდები.

ჩემს ნამუშევრებს ვალაგებ, ფოტოები მაგიდაზეა გაშლილი. ალმაცერად მიუურებს, ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი, თითქოს რაღაც დურაკიბა უნდა გამიკეთოს. ძალი კი არა, მაიმუნია! თან დიდია და სათავისოდ იყენებს ამას. ქუჩაში, თუ მოეპრიანა, უცებ შეიძლება სირბილი აიტეხოს, თოკზე მექაჩება, მე კადევ ვერ ვაჩერებ, სადა მაქს ამის ძალა. რომ ვეჩხებები, მაშინვე დორბლებით მიტენიანებს სახეს, დიდი ოხერი ვინმეა.

არ არის, თუ არა ურთიერთობა, ზოგჯერ სასიამოებო, ზოგჯერ ნაძალადევი, უხერხული, საჭირო, მაგრამ მაინც ურთიერთობა. კავკი იქნებოდა, მასთან ერთად, ურთიერთპატივისცემაც ასე ძლიერ რომ ახასიათებდეს

იქევე, ერთ-ერთ ჩიხთან ჩავლაც მოგვინია, ჩემს ახალგაზრდობაში ყველასთვის ნაცნობ ჩიხთან. ზოგისთვის უსიამოვნო, ზოგისთვის სასიამოვნო (მაგრამ ალბათ უფრო მეტად უსიამოვნო) ჩიხია. აქ ირჩეოდა მთაწმინდელების თითქმის ყველა საქმე, ყველა არასწორი სიტყვა, ქმედება, „დანაშაული“. ყველაზე ხშირად ამ ჩიხში დასხმული ბეტონი შედებილა განსხვავებული ჯაუფის სისხლით. ხანდასან დაუინებით რომ ვუყურებ, თითქოს ისევ ვხედავ ლაქებს, ნლების შემდგაც და თითქოს შემიძლია გარჩევა, რომელი ლაქს — ვისი სისხლია, მათ მორისა ჩემიც.

ბეტონის მიუღია ამ ადგილის სასკვდილო ჭრილობა, რაც ნამდვილად არაა სამაყო. იღბლიანი კაცი ვარ, მათ რიგს არ მივეკუთვნები. რექსიც აცმაცუნებს ცხვირს, ბეტონს წყოსავს, თითქოს ისიც იმაზე ფიქრობდეს, რაზეც მე.



არა, აშკარად რაღაცას აპირებს... — ეს გავიედვე თუ არა თავში, რაფიდან სწრაფად ჩამოხტა, დაავლო პირი მაგიდის კიდეში ირ სურათს და გაიქცა მეორე რთახში. როგორ ვინდა ახლა შტერი ძალი არ დაუძახო?

გამოვგლიჯე პირიდან ფოტოები. რა თქმა უნდა, აღარაფრად ვარგოდა, უბრალოდ, რომ არ ეჭამა და არ მომკიდარიყო, მომინია ცოტახნით მასთან ჯიკაობა. გადმოვიდე ძეველი ბრაზილიური ქუჩის სიმღერების ფირფიტა ვინოლიდან, რომლის ხმაც კარგ, მზიან ამინდებში სულ გამოდის ჩემი სახლის ფანჯრიდან. მოვაპი საყელურს თოკი და გარეთ გავიყვანე.

სანამ კიბებს ჩამოვილით უკვე გაქცევას ცდილობს, ძლივლივივიბით ვიჭერ. გრიბოედოვზე გამოვდივარ, ქუჩის მეორე მხარეს, არკიდან, ჩემი მეზობელი გელა უსიტყვოდ მინევს ხელს, მერე უესტიკულაციით ასანთზე მეკითხება, თან თუ მაქსს, სიგარეტი უკვე მომარცვებული ჰქონია ქუჩებში. უარის შემდეგ ისევ ხელი ამინია, არაუშავო, მაგრამ რექსი არ გვაცდის გამოსაუბრებას, ჭავჭავაძისკენ იქჩება, ამჯერად უფრო ძლიერად.

ჭავჭავაძეზე რექსის ყველა ხილ-ბოსტნეულის გამყიდველი იკნიბათ. გზად მივარდება ხოლმე, ყველას ჩამოუკლის მოსაფერებლად. ისნიც ეფერებიან, ეთამაშებიან, მეტი რა აქვთ საქმე, როცა კლინიტი არ ჰყავთ? თან ჩემზე ასაკში არიან და თავს ირთობენ ხოლმე, მეც გამომელაპარაკებან, ათას სისულელეს მეტყვინ, უბნის ჭორებს, საინფორმაციო გამოშვების ამბებს — არადა, მათთან ლაპარაკი დიდად არ მიყვარს. ვცდილობ, მაღვე დავუსხლოებ ხოლმე, მაგრამ არ გამოდის, თბილისია, და მით უმეტეს, რომ ძველი თბილისი. ეს ქალაქი კი მეტი არაფრი

ძლივს გამოვაცალე იმ ადგილს, არსენადან რინის ქუჩისკენ უნდა ავუხვიოთ. ეს აღმართი და ეს კუთხე... რთულია, ყოველი რექსის გასეირნებაზე ამ ადგილს უყურო და ერთი და იგივე გაიხსენო. ზაფხულის ერთ დღეს, თბილ, თქეშ წვიმაში, ამ კუთხეში ვიდექი იმ გოგოსან ერთად, რომელიც ძალიან მიყვარდა. სათქმელია, რომ მასაც ძალიან ვუყვარდო. ქუჩის ლამპიონის ქვეშ, ვიცოდით, რამდენიმე თვე ველარ ვნახავდით და ცოტახნით უნდა გამოვმშვიდობებოდით ერთმანეთს. რთული იყო, მაგრამ მაშინ მითხოა, ეს სეზონი რომ დამთავრდება, მერე რამდენიც არ უნდა გამოიცალოს, ყველთვის შენს გვერდით ვიქნებით. პირობა სანახევროდ შეასრულა, ნლების შემდეგ ვიქორნინეთ. იმ ნათქვამიდან მოყოლებული წელინადის ყველა სეზონი ჩემს გვერდით იყო, მაგრამ ცხოვრება ზედმეტად მტკიცნებული და უსამართლო რამეა. დღეს სახლში მარტო მე და რექსი ვცხოვრობთ ამ გოგოს ფოტოებთან ერთად, რომლიდანაც ყველა ჩემი გადაღებულია.

ნეტავ როდის განვითარდება კაცობრიობა იმ დონემდე, რომ ყველაფრის ნამალი არსებობდეს, რომ არანარ-მა დაავადებამ აღარ ანერვიულოს ადამიანი. ვუყურებ რინის ქუჩის კუთხეს, ლამპიონის ქვეშ სილუტებს ვხედავ, როთულია, მაგრამ მინდა, რომ ვუყურო.

ეჭ, იმ დროს... რექსის ისევ ქუჩისკენ მექაჩება. ოდნავ ზემოთ თუთის ხე დგას. ხე, რომელიც ყველა ჩემი ისტორიის მომსწრება. ნაყოფის სუნი დგას ქუჩაში. შავი თუთა ძირს ჩამოვარდებას. ზაფხული და ქუჩის ნანილი შავ ფერად შეუდებავს. ზაფხული დამდგარა...

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მთავრობისადმი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე ური შერაზადიშვილი
ური ალისტოვისტი თამარ ურული

მობ. ტელ.: (577) 742277; (599) 269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

